

მარინა იანაიშვილი



ქართველობის  
საქონლები!

მარინა იმედავალი

ქართველობის საკიტხო!

რუსთავი  
2023 წ.

რედაქტორი:

**თინათინ სიყმაშვილი**

კონსულტანტი:

**მაია რაზმაძე**

მხატვარი:

**ნატალი გომელაური**

ტექნიკური რედაქტორი:

**ირაკლი კორძახია**

ISBN 978-9941-8-5711-9

# რედაქტორისგან

## წინათქმა

ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავებიო, აკაკიმ. მართლაც, ვინ. ან ვინ დათვალა, რამდენი ქვიშაა ზღვის ფსკერზე, ან რამდენი ვარსკვლავი ციმციმებს ცაზე. არც არავინ და ვერც ვერავინ... მაინც რამდენი და, უთვალავი!

ეს ქვიშა და ვარსკვლავები და, ვინმემ თუ დაითვალა, ან ვინმე თუ დათვლის, ამ მზისა და ცისქვეშეთში, ზეყანასა და ქვეყანაზე, რამდენი ლექსი გამოითქვა, რამდენი ლექსი დაიწერა, რამდენი ლექსი მივიდა მკითხველამდე... ესეც უთვალავი, უთვალავი!

მაგრამ, იმ გამოთქმულიდან ან დაწერილიდან, რამდენია ლექსი, ლექსადლექსი, პოეზიასთან წილნაყარი? ლექსია და, ყველას ამომთქმელი, ყველას ავტორი პოეტია? ყველა ლექსი პოეტის გულის მონაწურია, მისი სულისმიერია? ან მის გონებაშია გავლილი? მკითხველიც, მსმენელიც, ყველა ლექსს იღებ შენად? ყველა ლექსი რჩება შენში და ხდება შენი, ლექსიც და თვითონ ავტორიც? ყველა ლექსი ამბობს მოლექსის, ან შენს სათქმელს?

როგორ გინდა, გშია და გწყურია, რომ ეს ასე იყოს... და ალბათ, ყველა მკითხველი თუ არა, ბევრი მათგანი მაინც, ამ სურვილითა და წადილით იღებს ხელთ ნებისმიერ ახალი ლექსების წიგნს...

რატომ ვკითხულობთ ლექსს, ლიტერატურას, ან რატომ ვეცნობით ლიტერატურულსა თუ ხელოვნების ნაწარმოებებს? რას ველით, რას ვითხოვთ და კიდევაც მოვითხოვთ მწერლისა და ხელოვანისაგან? ლიტერატურისა და ხელოვნების, კონკრეტულად – წიგნის, ნახატის, სპექტაკლის ავკარგიანობაზე, მის რაობაზე, საინტერე-

სო მოსაზრებებს გვთავაზობენ ცნობილი მწერლები და ხელოვანები. მათი შეფასებები დიახაც, მისაღებია...

ამ წინათქმის მოკრძალებული ავტორი მადლობელი ვარ უფლის, რომ მომადლებული მაქვს ნიჭი და უნარი, მაღლადმოაზროვნე შემოქმედი ადამიანების გამონათქვამები გავიგო, გავიაზრო, გავიზიარო, მივიღო... ყველასა და ყველაფერზე ჩემი საკუთარი აზრიც მქონდეს, ჩემეული აზრის გამოთქმის, ხმამაღლა გაცხადების სურვილის, გამბედაობისა და შესაძლებლობის ნაკლებობასაც არ ვუჩიოდე...

მიმაჩნია, რომ მარტო კარგი კი არა, კარგზე კარგია ის წიგნი, ნახატი თუ სპექტაკლი, რომელიც წაკითხვის, ნახვის შემდეგ დაგაფიქრებს, ბევრ რამეზე ღრმად ჩაგაფიქრებს, ბევრ რამეს და ბევრ ვინმეს სხვა თვალით შეხედავ, სხვანაირადაც დაინახავ, სხვანაირადაც მოისმენ, შეიცნობ და დასკვნას რომ გააკეთებ, თვითონაც იგრძნობ, რომ ისევ ის ხარ, ვინც მანამდე იყავი, მაგრამ ისეთი აღარ ხარ, როგორიც მანამდე იყავი: უკეთესად ხედავ, უკეთესად ისმენ, უკეთესად განიცდი, ფიქრობ და აზროვნებ და, რაც მთავარია, უკეთესად ქმედების მოვალეობა და სურვილი გიჩნდება, გიჩნდება და გიპყრობს... აბა, სხვას რას უნდა ითხოვდეს და ელოდოს მკითხველი მწერლისგან და მწერლობისაგან, ხელოვანისა და ხელოვნებისაგან?

ნამდვილად ბედმა გამიღიმა და თავიც მომწონს, რომ მარინა იმნაიშვილმა, საკუთარი პოეტური ხმის, გამორჩეული პოეტური ხედვისა და ხელწერის, თვისთავადი ლექსების ავტორმა, თავისი საწიგნე ლექსები წამაკითხა და რედაქტორობა მანდო.

მარინას (მარინას-მეთქი... აქაც და შემდეგაც, ჩემი ინდივიდუალური წესების შესაბამისად, დიდი პატიცისცემითა და სიყვარულით მივმართავ ასე, სახელითა და შენ-ობით!) ლექსების პირველი წიგნი – „ქალბატონო

სფინქსო!“ უკვე მკითხველის საკუთრებაა. მე კი, პირველმკითხველივით, სასოებით ვიღებ ხელთ ამ წიგნს და ვფურცლავ... ვკითხულობ და წამითაც არ მტოვებს წვეული ფიქრი: რამდენ ავტორს (არ ვამბობ, პოეტს-მეთქი!), მოლექსეს აუკინძავს თავისი ლექსები წიგნად, სამზეოზეც გაუტანია... მერმე ის ერთი გაუორებია, გაუსამებია... ტომები შეუქმნია და ახლა უკვე უხვი ნაშრომ-ნაღვაწი, საკუთარი ბინის თაროზე უწყვია ნომრების მიყოლებით და იქაურობას „ამშვენებს“... ტომები კი დაუგროვებია, მაგრამ იმ ტომების შიგთავსით თავისი პოეტური, მწერლური სამყარო ვერ შეუქმნია და ცხადია, იმ თავის ვერ-შეემნილ სამყაროშიც ვერავის ამოგზაურებდა... და თუ ვინმეს, მისი ტომეულების გადაკითხვის მერმეთ, რაიმე დააფიქრებდა, მხოლოდ ეს: ნეტავ რაზე გარჯილა ამის დამწერიო, რაზე დაუხარჯავს დრო, ქაღალდი და კალამიო, სხვა საქმე არაფერი ჰქონდაო? რის თქმა უნდოდა და თუ რაიმეს თქმა უნდოდა, ბოლო-ბოლო, მაინც რას ეუბნება მკითხველსაო...

მარინას ლექსები და მთლიანად ეს წიგნიც, უპირველესად, საუბარია თავის თავთან, თავის გულთან, თავის მე-სთან და მერე – მკითხველთან... ლექსითა და ლექსებით კი ბევრს, ბევრს ეუბნება მკითხველს...

რაც მთავარი და მთავარზე მთავარია, პოეტესამ ამ წიგნით შექმნა თავისი პოეტური სამყარო, რომელიც სავსეა არა ვინმეებითა და რამეებით, არამედ – სიკეთით, სიყვარულით, ერთგულებით, სიმართლით... ძიებებით... მის სამყაროში მოგზაურობით მკითხველი, თუ ის ნამდვილი მკითხველია და არა უბრალოდ გადამკითხველი, თვალის გადამვლებელი, უთუოდ შეიგრძნობს, შეიცნობს და სრულად გაითავისებს ღვთიურ სიკეთეს, ჭეშმარიტებას, ადამიანის ადამიანურობის არსა და რაობას,

უფლისგან ნაკარნახევს, ზეშთაგონებულს, პოეტისგან გაუღერებულს და შემოთავაზებულს.

არ მინდა, მკითხველს დავასწრო და თავს მოვახვიო მარინას თითოეული და ყველა ლექსის ჩემეული განხილვა და ჩემეული შეფასება. ამის უფლება ამჯერად მისთვის, მკითხველისთვის მიმინდია. მე ჩემი ვთქვი. ჩემს ნათქვამს კი იმას დავამატებ, რომ ლექსის ტრაფიალს და კარგი ლექსის მცნობს, შემცნობსა და დამფასებელს, ამ ლექსების წაკითხვით დიდი ესთეტიკური სიამოვნება ელის...

კითხულობ მარინას ლექსებს და გრძნობ, მან, პოეტმა, შენთვის, დიახ, შენთვის დაწერა, შენ მოგიძლვნა ეს ინტელექტუალური ლექსები, ამ ლექსებით შენ გესაუბრება და ამიერიდან ეს ლექსები შენია და შენშია და ნებისმიერ მომენტში, სიხარული იქნება ეს თუ სევდა, დაეჭვება ან ტკივილი თუ სხვაგვარი რამ განცდა, ვითარება, ის ლექსი, ან ის ლექსები ილექსებენ, თავს შეგახსენებენ, შენს გულსა და სულში ჩაგახედებენ, საკუთარ თავს დაგანახვებენ, გაგამხნევებენ... ესაა მარინას ლექსებისათვის ნიშნეული და ამიტომა მისი ლექსები მკითხველისათვის სულის სავანე და ფიქრთა ნავსაყუდელი...

და რაც ასევე მთავარია, მკითხველს გჯერა პოეტის... არსად არცერთი ყალბი სტრიქონი, არსად ყალბი ინტონაცია ან პათოსი!

ლექსის ფორმასა და სტილზეც უნდა ითქვას. აქაც ჩემსას ვიტყვი: ლექსის ფორმა საყურადღებოა, მაგრამ მთავარი არ არის. ლექსში მთავარია ის, რასაც პოეტი ამბობს, რასაც მკითხველს ეუბნება და ისიც – როგორ ეუბნება. ამ შემთხვევაში სათქმელი განსაზღვრავს ნათქვამის ფორმას. პოეტი ყოველთვის არ მიმართავს ლექსის ტრადიციულ, კლასიკურ ფორმას, სათქმელის თქმისას არ არის შებოჭილი მარცვალთა რაოდენობის თვლით, რითმების,

სახეების ძიებით... თავისი პოეტური სათქმელის თქმისას თავისუფალია... დიდ ქართველსა და დიდ მწერალს, ილიას დავესესხები, რითმების ტრფიალით აზრს არ სწირავს... აქვს თავისი პოეტური ხედვა, გემოვნება, ხელწერა, სათქმელი და თავის სათქმელს მკითველისათვის გასაგებად და მისაღებად გამოხატვისას მიმართავს ვერლიბრსაც, თეთრ ლექსსაც და ასევე, პოეტურ პროზას და ამ ყველაფრით, ერთად აღებულით, გვთავაზობს თავის საკუთარ სტილს... იმ სათქმელს, რასაც მარინა იმნაიშვილი ამბობს და გვთავაზობს, სწორედ ასეთი ფორმა შეესაბამება, უხდება...

წინათქმის დასაწყისში გულისტკივილი გამოვთქვი იმის გამო, რომ ყველა გამოთქმული თუ დაწერილი და გამოქვეყნებული ლექსი, დიდად გასაკვირად და დიდად სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, პრემირებულიც (!) კი, ლექსი არაა, მიმგვანებულია ლექსთან, ან ძლივს მიმგვანებული, ან... ან... ან...

მარინა, შენს ლექსებში საოცრადაა გაცხადებული შენი პოეტური „მე“, შენი მართლმადიდებელ-ქრისტიანული მრწამსი და სულისკვეთება, ღმერთის, სამშობლოს, მართალი სიმართლის სიყვარული და მისდამი მსახურება! შენი ადამიანური, ქალური და პოეტური დიდბუნებოვანება და დიდსულოვნება...

შენი ლექსების პირმშო წიგნი – „ქალბატონო სფინქსო!“, მშვენიერი საჩუქარია მკითხველისათვის, იმ მკითხველისათვის, ვინც ლექსი იცის და ვისთვისაც კარგი ლექსი მუდმივი სულის თანაზიარი და თანამდევია... მეც, როგორც მკითხველს და როგორც რედაქტორს, ამიტომ მეძვირფასება...

და დანაშაულია, რომ შენს ლექსებს, შენს შედევრებს, შენს პოეზიას, აქამდე, ამ წიგნამდე, არა სრულად,

მხოლოდ ნაწილობრივ იცნობდა მკითხველი, იშვიათად პქონდა მისი წაკითხვის, მოსმენის სიხარული და ბედნიერება... მეც!

გილოცავ შენი ლექსების პირველი წიგნის დაბადებას და გულწრფელ მადლობას გიძლვნი, რომ, როგორც მკითხველი და ამ წიგნის რედაქტორი, შენს ზემაღლ პოეტურ სამყაროში მამოგზაურე და შენი მშვენიერი პოეზია და მისი ავტორიც უფრო ახლოს გამაცანი...

**თინათინ სიყმაშვილი**  
უურნალისტი, მწერალი  
ნიკო ლორთქიფანიძის პრემიის ლაურეატი  
ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა  
აკადემიის ნამდვილი წევრი  
რუსთავის საპატიო მოქალაქე

## ჩემთვის არა ეთქვათ...

რა თქმა უნდა,

ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ,  
მათ შორის მეც იმ საოცარი ზღაპრის ნაწილი ვარ,  
ბავშვობა რომ ჰქვია,

თავისი დევებით და ფერიებით,

ურჩხულებით და პრინცესებით,

„შემოგევლოს ბებო“-თი და

„შემოგევლოს პაპიკო“-თი...

მეგონა, მთელი ეს ლამაზი სამყარო

ჩემთვის იყო შექმნილი,

რომ უზრუნველი და ფერადი

თავგადასავლებით სავსე ცხოვრება

წინ მელოდებოდა და

ამის გაფიქრებაზე

ბედნიერებისგან სუნთქვა მეკვროდა.

აღთქმული ბედნიერების გარანტია

თავპრუს მახვევდა და სტიმულს მაძლევდა...

ჩემთვის მაშინ რომ ეთქვათ,

ეს ყველაფერი ილუზიაა და

ბავშვობასთან ერთად მთავრდებაო,

ვერაფრით დავიჯერებდი,

დავიჯერებდი კი არა,

ამის მთქმელი ადამიანი

უცხოპლანეტელი მეგონებოდა,

ან უდიდესი ოხუნჯი მატყუარა

და ალბათ, გავებუტებოდი.

ჩემთვის რომ ეთქვათ,

ცხოვრება დიდი ომების,

უამრავი ბრძოლის,

უფრო მეტად წაგების,

ვიდრე მოგების ასპარეზიაო,  
ვერც ამას დავიჯერებდი...  
ვერც იმას დავიჯერებდი,  
რომ ცხოვრების გზაზე  
უამრავი ადამიანი შეგხვდება  
თავისი ჭრელაჭრულა აზრებით,  
განზრახვებით, მისწრაფებებით,  
ოცნებებით და სურვილებით,  
რომ ძალიან გაგიჭირდება  
მათი ერთი ხელისმოსმით ამოცნობა,  
ზოგიც ისე გადაგივლის და გაგთელავს,  
აზრზე მოსვლასაც რომ ვერ მოასწრებ და  
ამ ღალატისგან დაიტანჯებიო...  
ჩემთვის რომ ეთქვათ,  
სულ თითებზე ჩამოსათვლელი ადამიანები  
შემოგხვდებიან,  
ვინც უღალატოა, გულწრფელი და  
ყოველთვის თანაგიგრძნობს,  
ამასაც ვერ დავიჯერებდი.  
ჩემთვის რომ ეთქვათ,  
პირველ რიგში  
შენს თავს უნდა მოუგო ყველა ბრძოლა,  
ყველაზე რთული ეს გზაა ბედნიერების  
მოსაპოვებლად,  
რომ სიკეთის პირველი ნაბიჯი  
ყოველთვის შენ უნდა გადადგა,  
შენ უნდა მიუტევო,  
შენ უნდა ითხოვო შენდობა,  
შენ უნდა თანაუგრძნო,  
შენ უნდა უერთგულო პირველმა,  
რომ სული გამოიწროო,  
გული გაიკეთილმობილო,

ეცადო, მტრებიც კი მოკეთებად აქციონ,  
თუმცა, ეს შეიძლება ბოლომდე ყოველთვის  
ვერ მოახერხო,  
მაგრამ მაინც უნდა ეცადო, შენი გაიტანო...  
ღმერთო, ეს ყველაფერი ჩემთვის რომ ეთქვათ,  
ვიცი, არ დავიჯერებდი,  
მაგრამ მაინც გავაგრძელები გზას,  
არც იარაღს ავიღებდი და არც ფარ-ხმალს  
და ასე, შიშველი ხელებით ვივლიდი წინ  
უშიშრად და გულდაჯერებულად...  
არ ვიცი, რატომ,  
მაგრამ სწორედ ამას გავაკეთებდი...  
ალბათ იმისთვის,  
რომ ჩემი რწმენის ხე  
გაზრდილიყო და გაფურჩქნულიყო,  
მოესხა ბედნიერების ნაყოფი და  
ჩემი ზრდასრული ცხოვრების ყოველ დღეს  
ეს ნაყოფი დამეგემოვნებინა!

ჩემთვის ეს ყველაფერი რომ ეთქვათ...

## ლექსო!

ლექსო, მოგლვენთავს შარბათი,  
მოაჩანჩქერებ სტრიქონებს,  
შემოდგომაა წარმართი,  
ვზივარ და რითმებს ვიგონებ.

ხან მეკარგები, ხან – არა,  
ხან მწყალობ და ხან – არაო,  
ოქროს ფასკუნჯის ძებნაში  
სიტყვები დაიღვარაო.

ლექსო, მოდი და დამირჩი  
გასაკვირვებლად რომელთა:  
სიბრძნედ თუ ამოსახსნელად  
საიდუმლოთა ყოველთა!

## მა როგორი მონა..

როცა კვლავაც გავათენებ ასე,  
შენზე ჩუმი ფიქრებით და დარდით,  
გულში წლობით არდაწერილ ლექსებს  
ისევ ისე მეათასედ დავთვლი.

როცა ასე მომინდება, ისევ  
ვწერო, ვწერო, მხოლოდ შენზე ვწერო,  
ამ ქათქათა დაუწერელ ფურცელს  
გაიტაცებს სიზმრისფერი წერო.

ოქროცურვილ აისბერგებს – ღრუბლებს  
შორს გავატან უცხო სევდის სახელს,  
მე რომ მინდა, მე რომ ლექსი მინდა,  
ნუთუ მართლა ვერასოდეს დავწერ?

როცა კვლავაც გავათენებ ასე,  
შენზე ჩუმი ფიქრებით და დარდით,  
გულში წლობით არდაწერილ ლექსებს  
ისევ ისე მეათასედ დავთვლი.

## მოღვაწეობი

ამოიქუხე, ლექსო, ამოხმიანდი!  
ახლა შენი ომახიანი ხმოვანებაა ხსნა და შვება,  
ამომღერდი და ამოატანე მგზნებარე გული,  
შენს მელოდიებზე დაავანე და დააწყნარე,  
თავისი თვალით დაანახვე სრულიად ქვეყანა –  
აფეთქებული და მომლოდინე,  
გარინდებული მამადავითი,  
გაცოცხლებული ციხე-კოშკები,  
სხივჩამდგარი ფრესკები და  
ირგვლივ მიმოფანტული ბროლის ნაჭუჭები,  
მერე ჩაასუნთქე თავბრუდამხვევი სურნელებით  
გაჟღენილი ჰაერი და  
ისევ საგულეს დაუბრუნე...

ამოხმიანდი, ლექსო, ამოხმაურდი!

## ვინა ვარ?

### ყველა კაი ყმას

ვინა ვარ? რა ვარ? ჩემო ძმობილო,  
 რისთვის თენდება დღე,  
 ტკივილო, ლექსად გამოხმობილო,  
 ტკივილო მძლეთამძლევ,  
 რისთვის ანათებს თავგამოდებით  
 გალალებული მზე,  
 თუ ვერ გეტყოდი სიტყვას საშველად,  
 ძარღვიანად და მხნედ,  
 საით მეძახდა შმაგი „მერანი“,  
 ყიჯინით თან რომ მდევს,  
 რისთვის მიხმობდნენ ლურჯა ცხენები,  
 რად მიკვალავდნენ გზებს.  
 ვინა ვარ? რა ვარ? ჩემო ძმობილო,  
 რა ვუყო სვეს და ბეჭს –  
 ერთი სიცოცხლე წუთად არ მეყო,  
 ვერ შეგავედრე ლმერთს,  
 ვერ აგარიდე მოკეთის ტყვიას,  
 სხვა მტერზე უფრო მტერს,  
 დამოკლეს მახვილს, რიოშ სიყვარულს  
 და ტკივილიან დღეს...  
 ნუ განმიკითხავ, გული ვერ იტევს  
 სამდურავს ბევრზე ბევრს.  
 სასჯელად ჩემად ისიც მეყოფა,  
 უამი წამაყრის მტვერს.

## ჩემი ფიქრები

ჩემი ფიქრები თეთრ ზღვაში აგორებული ზვირთებია,  
უსახელო გემებით სავსე,  
მე კი მწყემსი ვარ და ჩემს ქარავანს  
ხან გაღმა მივერეკები, ხან – გამოღმა...  
აგრ, ამ კუნძულს „ბავშვობა” ჰქვია:  
ცისარტყელას ბაირაღები მოუქარგავს  
და ყველა აფიშა გვამცნობს, რომ  
კუნძულზე გამოცხადებულია მარადიული დღესასწაული,  
დღესასწაული, რომელსაც უკანასკნელ  
ზღაპრების წიგნთან ერთად ვამთავრებთ  
და ვიწყებთ ზრდასრულ ცხოვრებას,  
ყოფითი ხილვებით სავსეს,  
დევის თვალით რომ შევცქერით და  
როცა დავიღლებით, თვალს მოვხუჭავთ,  
ვიგონებთ ბავშვობას და მოვთქვამთ,  
ერთოთავად მივტირით...

ეს უიმედობის კონცხია – ჯართის საწყობი,  
დამტვრეულ-დაუანგებული ფარ-ხმალისა  
და რკინის ფრთებისა.  
ცრემლის გუბები კი ჭაობებად ქცეულა,  
ან დაშრეტილა.  
ვცდილობ, სრული სვლით ვიარო და არ მოვიხედო.  
ვინაც სვლა შეანელა, ან გაჩერდა,  
მწარედ ინანა.

ესეც „სატანის” კუნძული, არ შეგეშალოთ! „ჭინკების” კუნძულს  
შორიდანაც კარგად შეამჩნევთ,  
ამ სასაცილო ზოოპარკში  
უთავბოლოდ დაცუნცულებენ ადამიანის მსგავსი ჭინკები  
და გულმოდგინედ ცდილობენ,  
დაფარონ ტანზე აკრული აბრები:  
„ორგულობა”, „გაუტანლობა”, „მტრობა”...  
აქ გასართობად მოვდივარ მხოლოდ.

„სატანის“ კუნძული კი „სატანის“ სამკუთხედის ცენტრშია,  
საითაც უნდა წახვიდე,

გვერდს ვერ აუვლი...

ძალიან უნდა ეცადო, ისე გასცდე, რომ  
სამუდამოდ არ დაგიტოვონ თავიანთ მიწა-წყალზე  
კუნძულის ბინადრებმა – ადამსატანებმა.

რამდენჯერ მოვხიბლულვარ მათი სილამაზით,  
აღზრდილობითა და მჭევრმეტყველებით,  
თვალებდაბრმავებულს წაქცეული ამიყენებია,  
მათი ჭირი გამიზიარებია, ცრემლიც მიფრქვევია  
და ლხინის სუფრაც დამიმშვენებია,  
და-ძმობაც შემიფიცავს და მათვის მილოცია.

რა საამოდ ჩამწვეთებია ყურში  
მათ მიერ წარმოთქმული:

„გეთავა!“, „გმადლობთ!“, „მომიტევეთ!“.

ო, რა მწარე ნალველით ვივსებოდი ხოლმე,  
როდესაც უხილავი კუდების ნაკვალევ-ნაიარევს  
აღმოვაჩენდი საკუთარ სხეულზე და სულზე მაშინ,  
როდესაც ყოველთვის უკვე იყო გვიან...

ბედნიერია ის, ვინც „სატანის“ კუნძულს გასცდება  
და სულ მალე დაინახავს „იმედის“ კონცხს –  
ამ ზღაპრულ წალკოტს,  
მის ჩანჩქერებში იპანავებს,  
მის ზვრებსა და მინდვრებს მოხნავს,  
დათესავს და მოიმკის,  
მის სიყვარულში დაიღლება,  
სამშობლო-მიწას გულ-ტერდს დაუკოცნის  
და ლილინ-ლიმილში ტკბილად ჩაეძინება...

ჩემი ფიქრები თეთრ ზღვაში აგორებული ზვირთებია,  
უსახელო გემებით სავსე...

მე კი მწყემსი ვარ და ჩემს ქარავანს  
ხან გალმა მივერევები, ხან – გამოლმა...

## რომ გზე გყავდეს!

ისევ ბედად გამოვუსხლტი ზამთარს,  
გამხმარ ხეებს, მკვდარ ღამეთა დარდებს,  
ეს ცხოვრება თუ არ მასმევს შარპათს,  
აღარ ვდარდობ, ისევ დავიბადე.

ეს ლურჯი ცა ხომ ჩემია ისევ,  
ოქროსფერი საღამო და დილა,  
შარიშური გაზაფხულის მოსვლის,  
ყვავილების ფიფქი ფთილა-ფთილა...

ბედად როგორ გამოვუსხლტი ზამთარს,  
სასწაულის კვლავ ვიხილო ფერი,  
როგორ ხატავს ამ მთასა და ამ ბარს  
მხატვრის ფუნჯით, უხილავი ხელი.

სად გავექცე შორით მზირალ აფთარს,  
სად დავუგო ავბედითი მახე,  
რომ აქ დავრჩე სამუდამო სტუმრად,  
რომ მზე მყავდეს თანამეინახე.

ისევ ბედად გამოვუსხლტი ზამთარს,  
შავბნელ სიზმრის ავთვალება რიდეს,  
ახლა ისევ, სიხარულის თრთოლვით,  
გავუყვები იმედს კიდე-კიდე...

## გამოღვა ნაკიბი

აღარ მეწერება... ღამე, შფოთიანი,  
დაღლილი ლოდინის ფიქრებს შეუპყრია,  
ახლა თუ მოვუსმენ მოცარტის „რექვიემს“,  
ეგებ გამოვფხილდე – ჰაერი მწყურია.

თუ გამოვექცევი სახლსა და ალაგეს,  
სისხამზე ცვრიან ყაყაჩოებს ვაკოცებ,  
როდესაც გადავშლი ლადოს „სალალობოს,“  
ფილტვებში ჟანგბადის ფეთქვა გამაოცებს.

ისევ თუ ჩავხედავ ფიროსმანს თვალებში,  
უცნაურ ურუანტელს ვერსად გავექცევი,  
თბილია, ნიკალა, ამ ქვეყნის დარდები,  
ცივია ცხოვრების გზები და წესები.

სუსტი ვარ, ტირილი მინდება ამაზე,  
დაკეცილ ფრთებსა და ოცნებებს დავტირი,  
ღმერთო, მომასწარი, ლურჯად „იქ“ კი არა,  
„აქაც“ ბიბინებდეს გამოღმა ნაპირი.

## მეგობრებს

მადლობელი ვარ, ყველაფრისთვის მადლობელი ვარ –  
ერთგულებისთვის, სიყვარულის მადლობელი ვარ,  
ოქრო-ვერცხლს თქვენსას ვეღარ იტევს ჩემი საჭურჭლე,  
უცხო თვალთათვის უცხო არის ჩემი საუნჯე.

თქვენით ფრენს სული, უცნაურიც ალბათ, ეს არის –  
იდუმალების გარდამეხსნა ბევრი ცის კარი  
თქვენი წყალობით. თქვენ კი ამას როგორ გაიგებთ?  
ეს იგივეა, ოოვლს შეუქმ თეთრი ქათიბი,  
ან წყაროს წყალში ისევ წყალი აღმოაჩინო,  
ირმის სილალე გაიოცო და სცნო საჩინოდ.  
რომელი თვალი ამეხილა, ვერაფერს გეტყვით,  
მე და მინდიას დაგვატარებს გრძნეული ეტლი  
და ვკრეფ ვარსკვლავებს და ვნეტარებ უცხო მდელოზე...  
მადლობას გიძლვნით თქვენც, გულიდან წასულ  
მეგობრებს –

ღალატისათვის, შურისათვის, სიცრუისათვის,  
ჭრილობის პირზე მარილმოყრილ ბალღამისათვის...  
თქვენგანაც ბევრი ამოვკრიფე მარადი სიბრძნე.  
დავდივარ ვიდრე ბედნიერი და ვსუნთქავ ვიდრე,  
ჩემეულ ჰანგზე მომღერალი ერთი ლექსი ვარ...  
მადლობელი ვარ, ყველაფრისთვის მადლობელი ვარ!!!

## ჭრები

როცა დიდხანს, ძალიან დიდხანს გგონია,  
 რომ მწვერვალებს გადაუფრენ,  
 მთებს გადადგამ, მდინარეებს აამღერებ,  
 ზღვებს დააცხრობ, ოკეანეებს დაამშვიდებ,  
 დადგები მიკროფონით ხელში რომელიმე პოლუსზე  
 და მთელ პლანეტას მოუყვები ისეთ ამბავს,  
 გაოგნებული კაცობრიობა რომ შვებით ამოისუნთქავს,  
 დგება მომენტი,  
 როდესაც ზღვართან დგები და ითავისებ,  
 რომ შენი, ერთი ჩვეულებრივი მოკვდავის მისია,  
 უუმაღლესი და უუზენაესი საქმე,  
 მხოლოდ სიყვარულია, მხოლოდ სიყვარული!  
 ეს არის შენი შვებაც და ლხენაც,  
 ეს არის შენი ომიც და მშვიდობაც,  
 ეს არის შენი მწვერვალიც და ოკეანეც,  
 შენი ამბავიც და შენი ლექსიც,  
 შენი ცოდვაც და შენი შენდობაც,  
 შენი თმენაც და შენი რწმენაც,  
 შვილიც,  
 მეგობარიც და სტუმარიც!

## აჩაღა, ცხოვარებ!

როგორ გინდა, ასე იცხოვრო? –

ნახევარსიხარულით, ნახევარბედნიერებით,

ნახევარდარდით, ნახევარნაღველით,

ნახევარ... ნახევარ... ნახევარ...

რა არის ეს მდგომარეობა ჩემთვის,

ერთი კონკრეტული ადამიანისთვის?

რა უნდა გააკეთო შენ, ერთმა კონკრეტულმა,

ოცდამეერთე საუკუნის ადამიანმა

და თუნდაც ერთმა სახელმწიფომ?

შენი საქმე უნდა აკეთო და ამაზე არ იფიქრო?

ისე აკეთო შენი საქმე, ვითომ არაფერი ხდებოდეს?

როგორია, ისეთ სახლში იცხოვრო,

რომელსაც მორდვეული აქვს შემოსასვლელი კარი და

ვერც ვერაფრით ახერხებ,

ეს კარი ჩამოკიდო,

ან თუნდაც გაამაგრო...

შენ ცხოვრობ, შენთვის ამ სახლში,

შრომობ, წვალობ, აშენებ, ალამაზებ,

ოცნების კოშკებს აგებ და

ყოველთვის თან გდევს იმის შეგრძნება,

რომ აი, ახლა, ან სულაც, ღამე,

როცა გძინავს, დაუკითხავად შემოიჭრება ვიღაც,

აგანიოკებს მოულოდნელად,

ან ოჯახის წევრს გაგტაცებს,

ან თუ მოეპრიანა,

შენს სახლში თვითონ გაბატონდება და

შენ ყმად თუ დაგიყენა,

მადლობა უნდა თქვა...

შეიძლება, თვალიც არ დაახამხამოს,

ისე გაგსრისოს, როგორც ერთი უსუსური მწერი...

გამუდმებით დამყვება ყველგან ეს ფიქრი,  
 რასაც უნდა ვაკეთებდე,  
 ყველგან შეიჭრება,  
 მღრღნის შიგნიდან და მანადგურებს,  
 უსუსურობის შეგრძნება მანადგურებს,  
 ამაო ბრძოლის სურვილი მანადგურებს...  
 მე კი არა და, ნახევარი მსოფლიო რომ დადგეს  
     იმ კართან დარაჯად,  
 მაინც დაუცველი ხარ, მაინც გამუდმებით ჩაგესმის  
 „იქითა“ მხრიდან  
 უხილავი და უხმო უტიფარი ხარხარის ხმა.

შეიძლება ბოლომდე გახარებდეს რაღაც,  
 ბოლომდე იყო ბედნიერი,  
 როდესაც ეს ასე გაწუხებს?  
 როდესაც ეს გარდაუვალი რეალობაა?  
 როდესაც ეს მდგომარეობა ყველა ჭირზე უარესია?  
 ამიტომაც არ მიკვირს ჩემს გარშემო ჩაფერფლილი  
 სხივით მომზირალი თვალების სევდა...  
 და მაინც, დროდადრო,  
 როცა ძალიან, ძალიან დავიზაფრები,  
 უცებ გულში, სადლაც სილრმეში,  
 შეიფრთხიალებს რაღაც იმედისფერი და თავს  
 მახსენებს...

როგორ გინდა, ასე იცხოვრო? –  
 ნახევარსიხარულით, ნახევარდარდით,  
 ნახევარ... ნახევარ... ნახევარ...  
 არადა, ცხოვრობ.  
 სხვა რა გზა გაქვს?

## და სცივათ ლექსეპს...

ლექსეპი ჩემი სულის ფრინველებია...  
და სცივათ ლექსეპს ჩემი ფანჯრის წინ, გაყინულ  
მავთულებზე  
და იბუზებიან,  
კიდევ ერთ გაუსაძლის ზამთარს ეგებებიან  
ჩემთან ერთად,

შიათ და სწყურიათ კაცთა ნაშრომი ბარაქით  
გადავსებული არემარე,  
ვეღარ უღურტულებენ სიხარულით,  
ერთ დროს მათი მოამაგენი,  
გაუმთბარ და სევდით დამძიმებულ სხეულებს  
ძლივს დაათრევენ უღიმღამო ქუჩებში,  
ჩიტების დარდი სადღა აქვთ,  
ახლობელ-ნათესავების ჭირ-ვარამსაც კი ვეღარ  
ითავისებენ...  
და სტკივათ ლექსეპს უგუნურება, ლალატი და მტრობა,  
და სტკივათ ლექსეპს, რომ კაცნი თავად არიან თავიანთი  
უბედური ყოფის სათავე,  
და ეშინიათ, თუ დროზე გონს არ მოეგებიან,  
ვამპირების ბინძურ სადგომად გადაიქცევა ეს  
დ ე დ ა მ ი წ ა ...

ჩემი ლექსეპი უხმოდ და უცრემლოდ ტირიან,  
მხოლოდ გულის მოსაოხებლად...  
ვის შეუძლია მათი მოსმენა,  
ბრმა-ყრუებითაა სავსე ქვეყანა,  
უთავბოლო კივილ-ყვირილითა და  
თვალებში ნაცრისშეყრით  
დააყრუეს და დააბრმავეს ადამიანებმა ერთმანეთი...  
ახალი კი არა, ძველი საგანძურებიც ოხრად დარჩება  
ვის?

კაცმა არ იცის!..  
 და მარადიული მტვრის წასაყრელადაა  
 ყოველივე განწირული...

და მაინც,  
 ლექსები ჩემი სულის ფრინველებია:  
 ბეღურები და მოლალურები, არწივები და  
 ორბ-შევარდნები...  
 ნაირფერებს და ნაირბუნებოვანებს  
 სათითაოდ გამოვათბობ გულის უბეში,  
 გაზაფხულს მოვუყვან და  
 შევაფრენ ლალებს  
 სულ სხვადასხვა სიმაღლეებზე.

## სიმარტლე

ცხოვრებას კიდევ აქვს აზრი და მიზანი?  
 მე ეს გულგრილობა საშინლად მომწყინდა.  
 სადაა სიმართლე? გამეცით პასუხი –  
 სურს ვინმეს სიმართლე ადამის მოდგმიდან?

## კენატრება გერის

ცისფერია, ზღვისფერია გურია,  
კორდებია ზღვისფერი და ჭალები...  
მოდიხარო? მეძახიან, მელიან,  
ჰეი-ჰეი!  
მოვალ, მოვემგზავრები!  
ახმაურდა ცარიელი ოდა,  
ღადარზე ტკაცუნობს კეცი...  
რა თავბრუდამხვევი სიმშვიდეა,  
უცნაური შრიალი მესმის...  
თითქოს დაფაჩუნობს ჩემი ტკბილი ბები,  
მოხვედიო? – ჩურჩულებს ბაბუ –  
აი, ვარდები და მწვანე ხეივნები,  
შენია ყველაფერი, ბაბუ!  
დავკოცნი თითოეულ ქვას და ბილიკს,  
ჭაზე დავისველებ ტუჩებს,  
ახლა ხვატი ადგას გულზე თბილისს,  
ქუჩებს ლოკავს ურჩებს.  
სასაფლაოც მშვიდია და კოხტა,  
ხავსი ფარავს მივიწყებულ სიპეპს...  
მოხვედიო? ჩურჩულებს ბაბუ,  
– მოი, ნენა? – ბები გამიღიმებს...  
მერე ისევ დაიწყება თავიდან,  
მერე ისევ მოვა ზაფხული,  
მოდიხარო? მეძახიან, მელიან...  
ჰეი-ჰეი!..  
მოვალ, მოვემგზავრები!

## ვიცი, სიყვარული რომ არ ქმარა...

რატომ თრთი და დარდი რისთვის მოგწოლია,  
მუმლი მუხას ვით წააქცევს, დიდებულო,  
თუმც ყორნები მოგიმრავლდა ნაირფერი,  
მაგრამ, არწივს შენისთანას ვინ ეუფლოს...

აი, გული – ჩემი ერთადერთი განძი  
და ფარ-ხმალი, თუ დაგჭირდა საბრძოლველად,  
მიიღე და შენს გულისთქმას შეუერთე,  
ბუკ-ნალარის ხმა ისმოდეს მინდორ-ველად...

მიყვარხარ და უსასრულოდ მეყვარები,  
გეფერები, გხედავ ბოლოკეთილიანს,  
ვიცი, სიყვარული რომ არ კმარა,  
სხვა კი არაფერი შემიძლია...

## სამოგლო

რომელი ტაძარი მოგიხატო,  
ან რა სრა-სასახლე აგიშენო,  
საოცნებო ზღაპრულ ფასკუნჯებით  
რომელი ბაღნარი დაგიმშვენო...

იქნებ, გიმღერო და გიგალობო,  
ლექსით აგიმაღლო ქონგურები...  
ლალ სიმღერას თავად მიმღერებენ  
შენი ჩანჩქერები – ჩონგურები!

იქნებ შენს ჩუქურთმებს ჩავაქსოვო  
სირმა-ვერცხლად გული ნება-ნება,  
მოვკვდე შენით, კვლავ გავცოცხლდე ისევ შენით –  
ეს ფიქრია უსასრულო ნეტარება!

## როსა გულიძეს გადამვიღვავი

პოეტი არ ვარ, არ ვარ მწერალი,  
რად მეწერება, რატომ? არ ვიცი.  
არ ვარ მოლექსე, არც მომღერალი,  
ლექსის კოცონზე რატომ დავიწვი?

რატომ მაღელვებს სიტყვა კაზმული,  
ხმამაღალიც და უტყვი რითმებიც.  
თითქოს თამაშობს ალადასტური,  
როცა გულიდან გადმოვიდვრები.

მაშ, რისთვის ვთრთოლავ, როცა სტროფების  
ტალღა წამიღებს უკიდეგანო,  
ზეცისკენ მიჰერის ფიქრი... ერთბაშად  
თავზე მექცევა მთელი სამყარო.

რატომ იღლება ატმის რტო, რატომ?  
მე ეს სინაზე მაოცებს ღმერთის...  
ო, ამას ჰქვია გარდაცვალება და  
მერე ისევ აღდგომა მკვდრეთით.

## პროლიტ ქადაგი

აი, ერთ დღესაც გამოვიდვიძე  
და აღმოვჩნდი მარტო,  
დამფურთხალი და შეშინებული...  
დავბორიალობ ბროლის ქალაქში,  
ბროლის სახლებსა და  
ბროლისგულიან მეგობრებს შორის,  
თვალებით ვაწყდები შუშისფერ მზერას  
და შეძრნუნებას ვაშტერდები დაღებულ ხასაში...  
ყველგან ჯართად ყრია

გაყინული სიკეთე,  
გაყინული მეგობრობა და სიყვარული.  
ღმერთო ძლიერო, ნუთუ ეს ჩემი ქალაქია,  
ნუთუ ეს ჩემი სამშობლოა,  
ასე გამოხრული ძვალივით დაგდებული...  
დავბორიალობ და  
თავგზააბნეული დავეძებ დაკარგულ სითბოსა  
და სიმართლეს,

თუმცა, არც კი ვიცი, სად ვეძებო,  
მაინც, ბოდვაშეპყრობილი ხმით გავძახი:  
„მოვდივარ, ჩემო მთებო და ველებო,  
კალმახა მდინარეებო,  
ტყეებო და ზვრებო,  
ჩემო „იავ-ნანავ“ და აკვანო,  
ოცნებისფერო კოშკებო,  
ჩემო დევებო და შვლის ნუკრნო,  
ბროლის კოშკში გამომწყვდეულო მზეთუნახავებო,  
ცოტაც მაცადეთ და, ოღონდაც თქვენ არ მომიკვდეთ –  
მეც არ მოვკვდები,  
მოვძებნი ჯადოსნურ ჯოხს თუ სალამურს

და, მერე ჰეი! ისევ ერთად გამოვიღვიძებთ,  
ვიმდერებთ „ლილეოს“,  
მერე ყველაფერ ამას ვნახავთ სიზმარში  
და შეგვაურულებს...

დავბირიალობ ბროლის ქალაქში, დავეძებ ქალაქს,  
მეგობრებს მეგობრებს შორის,  
დაკარგულ სამშობლოს და  
ჯადოსნურ ჯოხს...

## კატარა ლელაიძე

დანანაობენ,  
ფარფატებენ  
ფიქრები მშვიდი,  
მაგრამ სიმშვიდემ  
გულისგული არ დამიამა...  
რა პატარაა დედამიწა  
და  
რაოდენ დიდი,  
რომ უკვდავება მოიპოვოს ადამიანმა!

## გამახელებულება!..

გადაფერმკრთალდა ლურჯი სამყარო,  
თითქოს იცვალა ფერი ბუნებამ,  
აღარც სიმღერის ეში ხალისობს  
და აღარც ლექსის დაგუგუნება.

გაჰქრა სიზმრების ჩუმი ზმანება,  
არც გაზაფხულის სუნთქვა მაოცებს  
და ოცნებების გარდაცვალებას  
ვეჩვევი დარდის სასაკლაოზე.

სად დაიკარგა რაში ფეხმარდი,  
ნუთუ იმასაც ბედმა უმტყუნა?  
ამაოების შავმა მორევმა  
მისთვისაც ავად ჩაიდუდუნა?

იქნებ, გაკვეთა ბნელი მირაჟი,  
შორს დააქროლებს ბრძოლის ბაირალს.  
ჩამომიფრენდეს... გამახელებდეს...  
გამიზაფხულდეს კვლავ სხვანაირად!..

## დღესასწაული

განგება თავის ნებას ატარებს,  
მბრძანებლობს, როგორც გაუხარდება,  
ხან გაგინათებს გზას დაბნელებულს  
და ხან მზისგულზე დაგიღამდება.

თუ ჭაობს, მორევს გამოგაცურებს,  
ზიხარ ნაპირზე გზაარეული,  
სულში გიძვრება ასი ალქაჯი,  
ათასი ჯურის ეშმაკეული.

გრძნობ, როგორ გიმზერს თვალი უჩინი,  
როგორ ასრულებ უცხო რიტუალს,  
იშორებ ლელქაშს, იშორებ კრთომით  
იმას, რაც სულმა ვერ შეიგუა.

მერე შიშვლდები ხორცით და სიღრმით,  
სარკე ირეკლავს შვებას და ნათელს,  
შეალებ ტაძარს, შენად აგებულს,  
მონანიების აანთებ სანთელს.

და დგება ჟამი დღესასწაულის,  
კვლავ რომ მაღლდები ლაუვარდ ზეცისად.  
შორს რჩება ჩქამი მითქმა-მოთქმების  
და იდგამ გვირგვინს გამარჯვებისა!

## დრო

დრო კიბეა ზოგისათვის,  
ზოგისთვისაც – დინება,  
ვისთვის დგას და ვისთვის კიდევ –  
ჩეუფად მოედინება.

ვის დღედაღამ ჭაპანს უჭერს,  
არ შორდება ნაღველი,  
ვისთვის ლხინის სუფრებს შლის და  
დაატარებს დალხენილს.

ზოგს ეშმასთან ამეგობრებს,  
ამეგობრებს ლუციფერს,  
გალალებულ დარდიმანდის  
ქუდს ახურავს უტიფრებს.

სინდისს ზომავს უხილავი,  
ღამლამობით არშინით,  
ხან მოკლეა უსაშველოდ,  
ჯოხი უჩინმაჩინის.

ხან მათრახზე უგრძესია,  
ტკივილისგან კვნესიან,  
ვის საერთოდ არ მოერგო,  
ვეღარ იხსნის მესია.

დროდაუამის მარათონის  
უსასრულო ღრჭიალი  
ვაი, რომ სულ ერთეულებს  
ესმით, ოხერ-ტიალი!

გველეშაპი გადმომდგარა,  
ნთქავს დლეებს და საათებს,  
აბა, როგორ მოერევი  
ამგვარ ჯურის ჯალათებს!

აბა, როგორ გამოსტაცებ  
წუთებს, წამებს მალულად...  
ტაშს უკრავენ უგუნურნი,  
გაუმართავთ მარულა.

დრო კიბეა ზოგისათვის,  
ზოგისთვისაც – დინება,  
ვისთვის დგას და ვისთვის კიდევ –  
ჩქეფად მოედინება!

## პოეზი

რისთვის უნდა იარაღი,  
თავად არის მესია,  
მისთვის ფარიც და მახვილიც  
ორლესული ლექსია!

## გზის და პოვარის ცონაშა

ღმერთო, მიეც მოთმინება,  
ვისაც ასე სწყურია,  
დაიმკვიდროს ერთი წამის  
უკვდავება სრულიად.

მიეც ძალა გრძნეულ დროის,  
წამ-წამ ავსოს ფიალა,  
რათა ისევ უსალბუნოს  
ჭირთათმენის იარას,

რათა ისევ შეენივთოს  
ღრუბლებსა და ვარსკვლავებს,  
ზღვის კენჭების ბრილიანტებს,  
მზის სხივებით დანაფერს,

შეენივთოს წყაროს ჩუხჩუხს,  
ტყის ჩურჩულით მონატანს,  
მერე წეროს, კვლავაც წეროს  
მზის და მთვარის სონატა,

გადმოჰყინოს წყაროს თავზე  
უსასრულო მშვენების,  
ყველა ჯალათს დააჩოქებს  
ჯადო მშვენიერების.

ღმერთო, მიეც მოთმინება,  
ვისაც ასე სწყურია,  
დაიმკვიდროს ერთი წამის  
უკვდავება სრულიად.

## პრიზ!

გულო, ისევ საგულეში ჩადექ,  
 გულო, მოდი, კვლავ ვიაროთ ერთად,  
 ფერო, მოდი ფერთან,  
 ფიქრო, მოდი ფიქრთან,  
 დღეო, მოდი დღესთან,  
 რომ ისევე დავიბრუნო წამი,  
 მწუხარებით შევხვდე ისევ წუხილს,  
 სიხარულით შევეგებო მერცხალს,  
 როგორც წინათ, როგორც იყო უწინ...  
 დამიბრუნე ის ხასხასა მთა-ბარი,  
 მასვი ლვინო დამათრობელ ფერთა,  
 მოდი, მზეო,  
 მოდი, ძველო ზღაპარო,  
 მოდი ჩემთან!!!

## პრეზი!

პოეტი! პოეტი! – ყველა მიეთმოეთობს,  
 ცა მწვანეა, ხან – ქუფრი, ხან – სილურჯით კამკამებს,  
 დედამიწის ილბალი მუზებს ხელით უპყრიათ,  
 ღმერთმა ნუ ჰქნას, სიმები მოდუნდეს, ან დაბლაგვდეს!

## „რისთვის ერვძგარხესა, წესილო?“

ვაჟა-ფშაველა

რისთვის მომდგარხარ, წუხილო?  
რისთვის გარჯილხარ, დარდო?  
ჩემ სპათა შესაშინებლად  
თუ შესარკინლად მტრადო?  
გარშემო ედემ- ბალი მაქვს,  
ბალნარის დარბაზები,  
ისეთი ზურმუხტებია,  
ისეთი ლამაზები,  
ისეთი მინდორ-ველები,  
ზღაპრული ზარდახშები,  
ჩანჩქერები და ჩქერები,  
ურიცხვი ალმასები,  
ჩაფხუტიანი ქედები  
და თორიანი მთები,  
ხეები ტანაშოლტილი,  
ამოგებული ხმლები,  
ალგეთზე კარიბჭე მიდგას  
ოქროთი ანაგები,  
ზედ მიფენია ხალიჩა,  
ყვავილის ფარდაგები,  
ფარდაგზე აკვნებს არწევენ,  
ბდლვინავენ ბოკვერები...  
ამდენი ქონების პატრონს  
ბევრი მყოლია მტრები...

რისთვის მომდგარხარ, წუხილო?  
 ფუჭად გარჯილხარ, დარდო,  
 მე თქვენთან ზავი რად მინდა,  
 მიგულეთ მუდამ მტრადო.

მოხვალთ და მეც აქ დაგხვდებით,  
 გამოვფენ ბრძოლის დროშას,  
 აქედან თქვენი ბილიკი  
 ხელისგულივით მოჩანს!

## ეზერ სეანელი

ამ გაზაფხულის უცხო სურნელი  
 ტრიალებს ზეცად და ხიბლით მავსებს,  
 სიო ჩურჩულით მოაფრიალებს  
 სურვილებსა და ცელქ ათინათებს...

## როდესაც მიუკვები აღმართს...

როდესაც რაღაც გაწუხებს, აღარ გეშვება,  
როდესაც ძალიან დიდხანს ემზადები  
და იღებ სკალპელს,  
უმტკივნეულოდ იფატრავ სულს,  
უფრო ზუსტად – მის გარსს,  
მერე სათუთად ეხები შიგთავსს, ელოლიავები,  
სულს უბერავ და ყოყმანობ –  
ამოილო და მზეს აჩვენო  
თუ ისევ თავის ჩვეულ სამფლობელოში დატოვო  
უთავბოლო ბრძოლებთან, ქარის წისქვილებთან,  
უსასრულო ოცნებებთან, დაულაგებელ,  
მაგრამ გრანდიოზულ გეგმებთან ერთად,  
სადაც, ბოლოს, ყოველთვის სიკეთე იმარჯვებს  
და მიუხედავად ყველაფრისა, გჯერა,  
რომ სამყარო სავსეა კეთილი ადამიანებით,  
რომელებიც აუცილებლად მოგძებნიან,  
იმიტომ, რომ შენც მათი პოვნის  
დაუკებელი მოლოდინი გაქვს,  
იმდენად ბევრი იქნებით ერთად, რომ  
გლობალური დათბობა და სხვა ამდაგვარი რამ  
კი არ დამარცხდება,  
გაიმარჯვებს დედამიწელთა გულებში...

უსისხლო ოპერაცია დასრულდა,  
გულს დაგადუგი გაუდის,  
მკაფიოდ გესმის შვებით ამოსუნთქვის ხმა,  
და შემდეგ ოპერაციამდე ტაატით მიუყვები აღმართს,  
რომელსაც ღმერთმა დაბადებიდან  
შენი სახელი დაარქვა!..

## უსიყვარელო გზა

აზვირთებულა ზღვა –  
 სხვა სიხარული, სხვა,  
 სხვა მღელვარების ხმა,  
 აღელვებულა ზღვა...  
 აზვირთებულა დღე –  
 სხვა სიხარულის მზე,  
 განსჯა-განცდების ტყვე,  
 აღელვებულა დღე...  
 გამეხებულა ცა,  
 დაწვიმებულა გზა,  
 სხვა სიხარულის ხმა,  
 რაღაც სხვა დარდი, სხვა...  
 გადაცისფრულა ცა,  
 დაწყნარებულა ზღვა,  
 სხვა სიხარული, სხვა,  
 რაღაც სხვა გრძნობა, სხვა...

სულ სხვა განცდების ტყვე –  
 უსიყვარულო ტყვე,  
 უსიყვარულო დღე,  
 უსიხარულო დღე,  
 უსიყვარულო მზე,  
 უსიყვარულო ცა,  
 უსიყვარულო დღე –  
 უსიხარულო გზა...

## უდელტეხილზე

უდელტეხილზე შფოთავს ავდარი,  
შემომეგება თოში და ყინვა,  
არსაიდან ჩანს გზის გასაყარი,  
მწვერვალებს შორით ასველებს წვიმა...

რა გრძელი იყო ეს გზა აქამდე,  
წლები შავის და თეთრის გარჩევის,  
სევდის და ბედის მძიმე ქამანდით  
მომქონდა სული გადასარჩენად.

რამდენი კერპი დაიმსხვრა ყალბი,  
რამდენი გრძნობა შთანთქა სიცივემ,  
რამდენი თვალი, ბილწი და ხარბი,  
მხვდება გზაზე და ვეღარ ვიცილებ.

ოდესლაც ლალი სხეულის ლანდი  
ტანჯვით ატარებს რკინისფერ ნილაბს,  
გული კი ფეთქავს ჩვეულ სიმარდით  
და რკინისავეს აწყდება ტიხარს...

ამ სიმაღლემდე ამოვდგი ჯვარი,  
რწმენის ბილკებს მოვყევი მაინც,  
გამიცვდა კვერთხი და ქალამანი,  
ახლა არ ვიცი, წავიდე საით...

იქნებ, მზე აქაც აღწევს დროდადრო,  
ამ მწვერვალებსაც ადგება შუქი,  
დავიცდი, ეგებ გამოიდაროს,  
გადაფერმკრთალდეს ფერები მუქი.

უკან არ არის გზა და სინათლე,  
წინ ბურუსია, ვეღარც წინ ვივლი,  
დავორჩები, იქნებ გამომინათდეს  
და ჯადოსნური ვიხილო ხიბლი...

უღელტეხილზე შფოთავს ავდარი,  
არ გადიარა ქუფრმა და ბინდმა,  
არსაიდან ჩანს გზის გასაყარი,  
მწვერვალებს ისევ ასველებს წვიმა...

## გარშის ეზიული

სევდის ბაღში  
თოვლი ბარდნის,  
დარობს დარდი,  
მოდის მარტი,  
ფიქრებიდან ამოვარდნილ  
ქარაშოტებს შევუყვარდი...  
კარვებს გაშლის შლეგი მარტი,  
ქარიშხლიან სიზმრებს აშლის,  
არ მექნება დარდი დარდის,  
თუ ამ დარდებს გავუმკლავდი.  
მერე თეთრი გაზაფხულით  
ღამე წავა დაზაფრული  
და მგზნებარე, ცელქი მარშით  
გამიღიმებს გარიურაჟი.

## გაგასება შექსირთან უილიამ!

ოთხასი წელი ცოტააო? ასეა, ალბათ...  
აღორძინების გზაზეშემდგარ კაცობრიობას  
აღარ ეღირსა წარმატება და ფეხზე დგომა,  
ისევ ბეცია, კვლავ ლუღლუღებს, ფორთხვით მიღოღავს,  
კვლავ ჩვილი ბავშვის უმეცრებით აცეცებს ხელებს,  
სინათლეშია, მაგრამ ღამის კოშმარებს ეპრძვის...  
ძვირფასო უილი, შენი სიბრძნე სცენებს ეფრქვევა,  
ტაშით გაცილებს წლიდან წლამდე ერი და ბერი...  
მაგრამ სად ქრება ოვაცია, სად იკარგება?  
თეატრის კარი იხურება, უკან გვიხმობენ,  
უბადრუკ ტყავებს ვუბრუნდებით უბადრუკ სულით  
და განახლების დღესასწაულს ზღაპარში ვტოვებთ...  
საკვირველია, გაკვეთილებს ვერ ვსწავლობთ, ვერა,  
სიმართლე ისევ სისულელედ ითვლება ახლა,  
ისევ უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,  
სიცრუეს კვლავაც არ ემჩნევა რიდი და დაღლა,  
სიკეთე ისევ ბოროტების მარადი ტყვეა.

ოთხასი წელი ცოტააო?  
ჰოდა, ათასი ჰამლეტი უნდა დაიბადოს?  
ათასჯერ მოკვდეს,  
რომ გაიფურჩქნოს სათნოება, სული ხალასი?

მხიარულ ყმაწვილს ამა სოფლის ჭმუნვამ და სრბოლამ  
მაინც ჩაგაცვა სევდის ძაძა, სევდის ეკალი...  
ეგ გული გრძნობდა,  
ბოლო გზა ყველა,  
ბოლო ლექსი,  
ყოფნა-არყოფნა,  
ამაოა და...  
სულ ეგ არი?

## შენ

შენა ხარ ჩემი უკიდეგანო უდაბნოს ოაზისი,  
 ჩემს ამღვრეულ-აქაფებულ ზღვაში  
     გადმოგდებული მაშველი რგოლი,  
 ჩემი ცეცხლმოდებული ტაძრის საშველად  
     მოვლენილი ზეციური თქეში  
 და უპურო შიმშილის სამფლობელოს  
     მოვლენილი ციური მანანა.

სიყვარული შენი ჩურჩულია,  
 ნაცრისფერ გარინდებაში რომ მომეპარება  
     და ჩამდახის: „მიყვარხარ!“

სიყვარული შენი ხელებია,  
 გულამოსკვნილი ჩახუტებიდან ყოველ ჯერზე რომ  
     მელამუნება  
 და მერე, უკუნ ბნელ ღამეში,  
 თვალახვეული უსასრულო სიარულისთვის მიმეტებს,  
 რომ ფრჩხილებით სალი კლდეები ჩამოვფხაჭნო,  
 ეკალ-ბარდებში ფორთხვით გავიხლართო და დავიკაწრო,  
 უსულგულო, ცოფიანი ნაგაზების სისხლიანი ნაკბენები  
 ენით ვილოკო და ვიწამლო, რომ მერე ისევ,  
 გარიჟრაჟზე, ღონემიხდილმა,

    ჩემი ნათელი ბილიკები ვიპოვო  
 და ბედნიერებისგან სუნთქვა შემეკრას,  
 შემდეგ კი ჩურჩულით ვიყვირო:

„სამყაროვ, მაინც რა მშვენიერი ხარ!“

სიყვარული მოულოდნელი ძახილის ექმა: „მიყვარხარ!“  
 სადაც უნდა ვიყო, ყურში რომ ჩამესმის  
 და, ზარების რეკვას გამოდევნებულებს,  
 სხვადასხვა ბოლოდან ერთმანეთისკენ

    თავგამოდებული სირბილით  
 ნაცნობ გზას გვაპოვნინებს, ჩაგვარბენინებს და მერე,  
 ჩემკენ გამოწვდილ ხელებს  
     ჩემთან ჩაგახუტებს...

სიყვარული შენი ჩურჩულია: „მიყვარხარ!“

## კელა გჭირდები!

რაც უფრო ვფიქრობ, ფიქრი ამიტანს,  
როგორც არასდროს, ახლა მჭირდები...  
არა ვარ ტურფა სემირამიდა,  
მაგრამ, დედოფლურ მეჯლისს გპირდები!

ვიცი, აქა ხარ, დედამიწაზე,  
არც ზღაპარში ხარ და არც ზეცაში,  
უბრალოდ, ჩემკენ ვერ მოგასწავლეს  
და წლები გადის გზების ძებნაში...

იჩქარე, მოჰყევ ვარსკვლავთა ციმციმს,  
ლოდინი ბილიკს შენსას გაჰყურებს,  
თორემ დრო, მალე, ლურჯთვალა იის  
ფუჭ ერთგულებას გამოახუნებს.

## გალე, უსილავო!

ათასთავიანი გველეშაპის დაკოდილ კისერს  
 ყოველ სისხამზე ისევ ათასი თავი ამოუდის,  
 ნიშნისმოგებით მაფრქვევს გულისამრევ ოხშივარს  
 და თვალსაც მაცდურად მიკრავს,  
 აბა, დღეს რაღას გამოიგონებ,  
 რომელ ბეწვის ხიდებს გამოივლი  
 და შიშველ ხელებში ძალა როდემდე შეგრჩებაო.  
 გამოცდას ყოველდღე იბარებს  
 უხილავი და ამოუცნობი,  
 მერე, ღამის მდუმარებაში,  
 დაუსრულებლად იწერება  
 აუხდენელი ოცნებებისა და  
 სიზმრების ფერადი მითი,  
 თმენისა და ტკივილის მდინარეები კი,  
 ჰეი და ჰო,  
 სადაცა, კალაპოტიდან გადმოიღვრება,  
 უსამართლობის ჯებირებს გადმოანგრევს,  
 აზვირთდება ზღვა და შავი მორევი  
 შავ ფსკერზე ჩაიტანს  
 მაწამებელსა და უწმინდურს...  
 მალე, თვალით უხილავო და ძლიერო...  
 მალე!

## დაელოდეთ!

საით გარბიხართ, დღეებო?  
სად გამირბიხართ, წლებო?  
ჩემი ჯალათი დროს არ კლავს,  
თავზე მადგას და დამძახის,  
ვალს როდის გადაიხდიო!  
ნეტავი, ასე ადვილი იყოს...  
გულამომჯდარ მარათონში  
ვეღარ გეწევით,  
ვეღარ ვსუნთქავ,  
ვერაფერს ვხედავ,  
აი, ახლა დავეცემი,  
მერე გავქრები,  
როგორც მზისგულზე დავარდნილი  
პატარა წვეთი...  
მაგრამ, ჯალათი?  
როგორი მკაცრია და თან მომნუსხველი.  
ზუსტად ვიცი,  
ეს რბოლა აქ არ დამთავრდება,  
უნდა მოვიგო!  
ნუ გამირბიხართ, ძვირფასებო!  
გესმით?  
დამელოდეთ!

## წვიმები

ჩრდილი დაეფარა ღრუბლებს,  
 ღრუბელს შეეფარა მთვარე,  
 აღარ ბრუნდებოდა, თურმე,  
 ფერები მოელვარე...  
 იყო ყველაფერი ცივი,  
 ხელებს ეცლებოდა სითბო,  
 სულის უძვირფასეს რითმებს  
 წვიმა აწამებდა თითქოს.  
 იდგა შემოდგომის დარდი,  
 მეცვა დეზდემონას კაბა,  
 ჩემი სიყვარულის ლანდმა  
 თავი ჩამოიხრჩო, ალბათ.  
 წვიმა ასველებდა ტუჩებს,  
 ბედი იცინოდა მწარედ...  
 ჩრდილი დაეფარა ღრუბლებს,  
 ღრუბელს შეეფარა მთვარე.

## ველად ღაგიქაუზ ლურჯოვალა ის დედას

დედებს უძლვნიან ძვირფას საჩუქრებს,  
ლამაზ სიმღერებს, ლექსებს, ბარათებს...  
ლექსი არ არის – ეს სათქმელია,  
რომელიც გულში გამოვაზამთრე...  
ძნელია, ძნელი, ძალზე ძნელია,  
სულით ხორცამდე იყო პოეტი,  
ბედი კი თავის თამაშს გვთავაზობს,  
პროზაულ დრამებს გვახვევს ყოველთვის.  
ძნელია, ძნელი, რარიგ ძნელია,  
მუდამუამს წრფელად გტკიოდეს გული,  
ტანჯვით იწვოდე, ქართულ სიტყვაზე  
და სამშობლოზე შეყვარებული.  
კრთომა და დარდი თვალს არ გშორდება,  
ამაოების არ ჩანს სასრული,  
უკეთურ კაცთა მომრავლდა ჯარი,  
ცოდვა კი ცამდე არის ასული.  
სული დროდადრო ივსება გზნებით,  
ზღაპრულ ხილვებით, ლექსის მტევნებით,  
ო, რომ შეგეძლოს, გარდასულ გმირებს  
გამოიხმობდი ლოცვა-ვედრებით.  
თმას გაიშლიდი ამორძალივით,  
დაიმშვენებდი დროშით მარჯვენას,  
გაუძლვებოდი სიკეთისა და  
მამულ-დედულის გადასარჩენად.  
დამშვიდდი, დედი, შენი ქალობა  
უკვე გმირობა არის ნამდვილი,  
ღმერთმა გვიმრავლოს შენისთანები,  
ბევრს დაეხუროს შენებრ მანდილი.  
თუკი რამ ჩემშიც მოიძებნება,  
ამაღლებული და ღირებული,

შენი გენია, შენი მადლია,  
 შენი ბეჭედით მირონცხებული.  
 გიკოცნი ხელებს – სათუთ ფარვანებს,  
 გიკოცნი თვალებს მაღალფიქრიანს,  
 დაგიხრი თავს და მუხლსაც მოვიდრეკ,  
 ველად დაგიკრეც ლურჯთვალა იას!!!

## გარდასელი რცხვება...

ირმის ნახტომით აფრინდები  
 და გახედნი კენტავრს,  
 ვარდისფერი გალაქტიკების კაბას  
 ჩაიცვამ ოცნებაზე უგრძესს,  
 უსახელო ვარსკვლავებს ენძელებივით მოკრეც  
 ცის თაღის ულურჯეს მდელოებზე  
 და უთვალავი თანავარსკვლავედის  
 უჩვეულო ზოოპარკს დედოფლად დაუდგები,  
 მერე გამოსწევ საოცნებო მშვილდს და  
 სიყვარულის ისარი – სინათლის ოქროსფერი სხივი,  
 აღმოუჩენელი დედამიწის,  
 აღმოუჩენელი ქალაქის რომელიდაც კოშკში,  
 აღმოუჩენელი მზეჭაბუკის ხელში აღმოჩნდება!

## შეით საჩობს

მამას

ცა ვარდისფერ ღრუბლებს როცა შემოიკრებს  
და ძილის წინ მზეს ტახტრევანს უმზადებს,  
დასავლეთით მიეპყრობა შენი მზერა  
და ფიქრებში ეძებ მიმქრალ სურათებს.  
გურიის მთებს ჭალარა არ გასჩენია,  
დგანან, ალბათ, ისევ მხნედ და ამაყად,  
ბავშვობის წლებს სხივი ხომ არ დაკლებია,  
სათითაოდ გაიხსენებ ხანდახან.  
გენატრება შენი ოდა და ბალნარი,  
ვაზი, ხეზე ტოტებგადაგრეხილი,  
ყანა, ღელე, ჭა და მწვანე კოინდარი,  
მამის ხელით ნაფერები ხეხილი.  
თვალში ცრემლი რად კიაფობს უამიდან უამს,  
ნაღველს რატომ დაუფარავს ღარები,  
გახსენდება დედის ტკბილი ნანინანა,  
შინმოუსვლელ ძმის ელვარე თვალები.  
ზღვაო, სიბრძნის და იმედის დასტაქარო,  
ხევ, მაგარო, არასდროს დაბერდები,  
შენი სითბოს და სიკეთის შუქით ხარობს  
შენს ფესვებზე ამოზრდილი ნერგები.

## გარიბევა

ფერმკრთალ სექტემბერს  
 თითქოს ზაფხულზე ეწერა ჯვარი,  
 არ სურდა გაყრა,  
 მზე, ოდნავ მცხრალი,  
 კვლავ ძველი ვნებით ჰკოცნიდა ფანჯრებს,  
 ფოთლებს, გაფანტულს,  
 ნელი სიო დასდევდა მაყრად...  
 ვიღაც ხარობდა  
 სიჩუმით მთვრალი,  
 სიჩუმით მთვრალი,  
 სიჩუმით მთვრალი...

## შეარდგომა!

საით მიპქრით, შემოდგომის დაქანცულო ფოთლებო,  
 საით მიაფრენთ სევდისფერ დღეებს,  
 წუთებს და საათებს...  
 დრო ოცნებაში დაიღალა, გაცაფერმკრთალდა,  
 დღე ღამედ იქცა და ღამე – დღედ,  
 ცოცხლადყოფნის სიხარული კი ცას ჩამოეკიდა  
 და ათასფერად აელვარდა...  
 საით მიპქრით, მღელვარე ფოთლებო!

## ამ ზოდებებს სერებს

დღესაც დეკემბერმა ისევ გამახსენა  
თოვლის ბილიკები ძველი,  
იქნებ შენც მარტოდმარტო  
დგახარ სახლის ზღურბლზე,  
ფიფქი გათოვს ნელი, ნელი...  
ამ ფიფქების სურნელს  
შენსკენ გამოვყვები,  
ქართლის ვაკე ჩამიხუტებს გულში.  
მთვრალი სტრიქონებით  
თოვლთან ვისაუბრებ,  
ფიფქი ცვივა ნელი, ნელი...  
მე ამ ქართულ ზამთარს  
მხოლოდ შენ მოგიძლვინი,  
აღარასდროს გაგიხსენებ მეტად,  
ოღონდ შენც გახსოვდე  
ასე თეთრ თოვაში,  
ასე მოგენატრო, ნეტავ...  
დღესაც დეკემბერმა ისევ გამახსენა  
თოვლის ბილიკები ძველი,  
იქნებ შენც მარტოდმარტო  
დგახარ სახლის ზღურბლზე,  
ფიფქი გათოვს ნელი, ნელი...

## დარღვენი პოეზი

დადის, ვეღარ ისვენებს,  
ლხინის დღეებს იხსენებს,  
ხან ოჯალეშს იგემებს,  
ხან – კახურს, ხან – საფერავს...  
მერე, გულდაცვარული,  
დარდის კალმით დასერავს  
ყველა კუთხე-კუნჭულში  
ჩასაფრებულ ფათერავს...

## რეჟისორი

ეს რეჟისორი პოეტია,  
ის კი – მხატვარი,  
ის რეჟისორი მეზღაპრეა,  
აი ის კი – ფილოსოფოსი,  
ის რეჟისორი გენიოსია,  
ის – იდიოტი.  
როგორი იქნება ეს რეჟისორი?  
ელოდება მას მთელი დასი...

## ზუგილი – მართალი

ასეა, ისეა, ტყუილი – მართალი,  
მთლად არეულია კაცთა სამართალი,  
დაყრუვდა, დაბრმავდა ყველა და ყოველი...  
ასეთი ყოფისგან მე რაღას მოველი,  
მე რაღას მოველი, შენ რაღას მოელი,  
ჩვენ რაღას მოველით, სამყარო დაჩლუნგდა.  
ღმერთო, მოგვივლინე მხსნელად სასწაული,  
სინათლე მოგვფინე, სულს სხვა რაღა უნდა!

## ჯერ ყველაზერი არ არის გვიან!

კვლავ სინანულით მიჰყვება მზერა  
ზღვაში კენჭებად გასროლილ დღეებს,  
მერე მოხაზავს წრეს ბედისწერა  
და ფუჭ შეცდომებს გაასხვაფერებს.

იმედის ცისკრით თენდება დილა –  
ჯერ ყველაფერი არ არის გვიან...  
თუმცა, ფარფატით ფრთები დაღლილა,  
ლოდინის სარკმელს თვალი აქვს ღია...

## ტვირთი

შეჩერდი, ლოკოკინავ,  
 მოუსვენარო მოგზაურო,  
 შეჩერდი, მინდა გაგესაუბრო,  
 ცოტახანს გვერდზე გადადგი  
 შენი ხვეულა ტვირთი,  
 ასე მსუბუქი და მძიმე,  
 მთელ შენს მსოფლმხედველობას  
 შიგ რომ იტევს,  
 შეჩერდი!  
 იქნებ კიდეც შემახედო  
 მაგ ამოუცნობ ლაბირინთში  
 და გამანდო შენი საიდუმლო...  
 ფრთხილად, ფეხი არ დაგიცდეს  
 ნამიან ბალახზე,  
 აი, მაგ კუნძზე ჩამოჯექი  
 და მიამბე, საით მიგელიან,  
 ასე უსასრულოდ რომ მიიჩქარი...  
 სად არის შენი სამშობლო,  
 სად იწყება და სად მთავრდება,  
 სად არიან შენი მეგობრები,  
 შენი და-ძმანი და ტოლ-სწორები.  
 მაგ მზის სხივს, ხელისგულზე  
 რომ განებივრებს,  
 ცოტახანს თავი ანებე და  
 ხმა გამეცი,  
 მითხარი, ნუთუ შენ არ იყავი ჭაბუკი,  
 ცა ქუდად რომ არ მიგაჩნდა და  
 დედამიწა – ქალამნად და  
 სულ არ დარდობდი,  
 ამ ლამაზ ტყეში  
 საიდანლაც რომ გამოჩენილიყო დევი-ბაყბაყი,

გჯეროდა, შიშველი ხელებითაც  
იოლად მოერეოდი ბოროტს,  
სიკეთის დროშებს ააფრიალებდი,  
შენი სიმართლით წყალს გააპობდი  
და ყველა ჭიაღუას ქვესკნელში ჩააძვრენდი...  
მერე, წლები და სიბრძნე რომ მოგემატა,  
არ გამოჟონა ნესტიანი ნაპრალებიდან შიშმა?  
რამდენჯერ შეგეპარა ეჭვი სიტყვების არსში:  
„სიმართლე“, „სიკეთე“, „პატიოსნება“...  
რამდენჯერ მოგატყუეს და გიღალატეს...  
გათელილ ტანზე ახლაც გეტყობა მტვრის ნაფრქვევები.  
სწორედ იმან არ გიმუხთლა,  
ვისიც ყველაზე ძალიან გწამდა და გჯეროდა?  
რატომ არ იტყვი რაიმეს?  
ბედნიერი ხარ ალბათ, და,  
ბედნიერებამ დაგამუნჯა,  
ან ეს ყველაფერი შენთვის ძალზე უცხოა.  
მე კი მჯეროდა,  
ბედნიერი რომ ვყოფილიყავი,  
მთელი მსოფლიოს ზარებს ავახმაურებდი...  
წადი, ლოკოკინავ, წადი,  
მოიკიდე ზურგზე შენი სიმართლე და  
შენი გზით გასწიე იქით,  
სადაც მიგელიან...  
შენ შენს თავს ვერ უღალატებ,  
ვერც – ბუნებას...  
ჩვენ კი, ორივე,  
ამ ბუნების შვილები ვართ...  
ეს არის ჩვენი სიხარული და ტკივილი,  
ეს არის ჩვენი სიმართლე და რწმენა,  
აქ არის ჩვენი სამშობლო!

## შენი წილი გეღვისახეა

ზამთრის ძილით დაეძინა გონებას,  
 ლიბრისფერი გადაეკრა თვალებს,  
 დაეძინა სიყვარულს  
 მზეთუნახავივით,  
 ათასი წლით, დაუთვლელი საუკუნეებით...  
 მზეჭაბუკი ვეღარ მოვა, გზები მოჭრილია,  
 ბილიკები გადაურეცხავს მარილიან წვიმას,  
 ვეღარ მოვა...  
 ოცნების ტბაში კვლავ ბანაობს გედი  
 სიზმრისფერი, სამუდამოდ ხელშეუხები...  
 ისევ გიყვარს,  
 მთელი სიცოცხლე გეყვარება...  
 შეუძლებელია!  
 გვირილებისფერია გედი...  
 დაიბენი,  
 გაიხლართე,  
 უამრავ რაღაცას გრძნობ,  
 უცნაურს,  
 გიკვირს, გიხარია.  
 გრძნობების ომი. რა იზეიმებს?  
 სიცოცხლე გწყურია, მით უმეტეს ახლა,  
 როდესაც მეორე სიცოცხლეს ელოდები...  
 სუნთქავს!  
 შენ შენი გზა გაქვს,  
 სხვებს რას უყურებ?  
 უსმენ, ფორიაქობ...  
 ეშმაკიც, მათი შემხედვარე, იღვიძებს ხანდახან  
     და სულს გიღრღნის.  
 სისულელეა...  
 შენ შენი გზა გაქვს, შენი ოცნება.

გაუღიმე! იარონ, არჩიონ, იძიონ, ინანონ...

არ გაბრუვდე!

ისევ გიყვარს... უფრო გიყვარს... უფრო!

ესაა ბედნიერება...

ღიმილი არ მოიშორო!

თეთრი გედი ხელშეუხებ ფრთებს ისწორებს.

საოცრებას ელოდები.

წამი სავსეა მოლოდინით,

დღე – სავსე – წამებით,

მოლოდინის დაძაბულობა სიმძაფრის გარეშე,

მოლოდინი, თაფლივით ტკბილი,

თოვლივით ჩუმი და მშვიდი.

წინასწარ გრძნობ, საოცრება უნდა განიცადო,

განიწმინდო, ქალღმერთებს განეტოლო,

საგალობელივით იმღერო „ნანა“...

სუნთქავს, სულს გიფორიაქებს.

გიხარია, გიკვირს, უამრავ რალაცას გრძნობ,

სიცოცხლე გწყურია.

ელოდები...

სხვას ყველაფერს დასძინებია,

სხვა ყველაფერი უმნიშვნელოდ

და სასაცილოდ გეჩვენება,

უსუსურ ფიქრად,

უსუსურ განცდად...

საოცრებას ელოდები!

## კასეს არ ვითხოვ!

კატასტროფული სისწრაფით ენაცვლებიან  
მოვლენები ერთმანეთს.  
ჩვენმა გზებმა, და არა უბრალოდ ბილიკებმა,  
გადაკვეთეს ერთმანეთი და ახლა თავაწყვეტილი ჭენებით  
მიჰქრიან წინ, რომ დაიკარგონ სამყაროს უზარმაზარ  
ლაბირინთში, დაიკარგონ და დაიხლართონ...  
გეძებ, გეძახი, ხმა არ ისმის...  
მესმის, მეძახი, მეძებ...  
მესმის, რომ მეძახი, მაგრამ ხმა არ მესმის...  
ბედი შემჯდარა შავ ბედაურზე, ხელში უჭირავს მათრახი  
– ჩემი გულის უწმინდესი სიმი,  
თავგამოდებით ტყლაშუნობს,  
სისინებს, იკლაკნება...  
შავი ბედაური გახვითქულა, გახელებულა,  
ხან შენს კართან ტორავს მიწას,  
ხან ჩემს კართან..  
ხან შენ არა ხარ შინ,  
ხან – მე,  
ხანდახან არც ერთი არა ვართ...  
ვეძებთ, შენ შენს გზას,  
მე ჩემსას... დავეძებთ ფიქრით, ოცნებით, გულით,  
გონებით, მთელი სხეულით,  
მთელი სულით...  
ჩვენი გზები კი უფროდაუფრო იხლართება  
თუთიყუშისფერ ლაბირინთში.  
ამ გზებზე ყველას და ყველაფერს ვპოულობთ  
საკუთარი თავისა და ერთმანეთის გარდა.  
ბედი კი შემჯდარა შავ ბედაურზე,  
შავ ბედაურს თეთრი ხალები აქვს  
და მე უკვე აღარაფერი მესმის,  
არავის ვეძახი, არაფერს ვეძებ...

ჩემი დაღლილი სხეული თავის დროებით განუყოფელ  
და დაქანცულ სულთან ერთად ასვენია ჩემივე საკუთარი  
სახლის ერთ-ერთ ოთახში, უფრო სწორად, სამუდამოდ  
გაშეშებულა გაუშლელ ტახტზე, მხოლოდ თვალები  
გახელილა ფართოდ და სადლაც, ლიმონისფერი კედლის  
მიღმა უნდათ, მოხაზონ შენი ლანდი...

დრო დგას.

დრო გადის ოთახიდან,

ჩუმად ჩადის საფეხურებზე,

კართან ბდლვინავს თეთრი ბედაური შავი ხალებით...

ზანტად ჯდება შეუკაზმავ ბედაურზე,

ამონმებს მათრახს,

ჩემი მოთმინების ძაფებისგან შეკრულს...

მიჰქრის წუთი, წამი თუ მთელი ცხოვრება...

გეძახი, მაგრამ ხმა არ ისმის...

ხომ არ გესიზმრება შავწინწკლებიანი თეთრი რაში?

იქნებ მეძახი?

ბედაურებს თვალები ჰქონიათ ახვეული და

თავაწყვეტილი ჯირითით დაეძებენ ერთმანეთს,

როგორც დღე – ღამეს,

ან – პირიქით...

ჩემთვის სულაც არ არის ღამე შავი

და დღე – თეთრი, ყველა ფერი არსებობს ერთად,

ან არ არსებობს საერთოდ, ცალკე, განყენებულად...

რომელი ფერით უერთდება დღე ღამეს?

უერთდება კი, საერთოდ?

## მეცნიერული

უნებლიერ დახუჭავ თვალებს და სადღაც, სულის  
სილრმეში, ამაზრზენად დაიკივლებს მეფისტოფელი...  
შენს ირგვლივ ყველაფერი დაუსრულებლად ტრიალებს.  
მოგწონს და არ მოგწონს.

გიყვარს და არ გიყვარს.

გძულს. გეზიზლება. გაგიჟებს.

არ იცი, როგორ დაიწყო.

არ იცი, როგორ დაამთავრებ.

დაიღალე,

მარტო ფიზიკურად არა...

დაგდალა ყველაფერმა, ყველაფერმა, ყველაფერმა,  
შიგნით, სილრმეში, სადღაც ქალზე შორს.

ჩვიდმეტი წელი...

დაუსრულებლად გტკივა რაღაც. გაწამებს. გახრჩობს.

მოურიდებლად დაფათურობს შენს სამყაროსავით

უზარმაზარ სამყაროში ხან რაშით, ხან – ურჩხულით,

ან რომელიმე მოდური მობილით.

გზებით დაგიხაზა ყველა კუნჭული, ზოგი სწორია და  
ლამაზი, ზოგიც საშინლად დახლართული,

ტყიანი და დაბურული.

დადის, დაპქრის და დაფორიაქობს.

გაგიჟებს. გაწამებს. გახრჩობს.

რაღაცას მოითხოვს შენგან, მოითხოვს ზეადამიანურს,  
ზელვთაებრივს, ზესამყაროებრივს, მოითხოვს დაუინებით,  
ცეცხლით და მუქარით, ცრემლით და ვედრებით.

გიუდები, იხრჩობი და ეწამები.

დაწყვეტამდე გეჭიმება ყველაფერი.

აი, თითქოს დაინახე! მისწვდი! დაიკყარი!

...უნებლიერ დახუჭავ თვალებს და სადღაც, სულის  
სილრმეში, ამაზრზენად დაიკივლებს მეფისტოფელი...

დაიღალე.

მაგრამ ვერ იძინებ.

სიჩუმე.

ოდნავ გცივა.

ადგომა არ გინდა. გესმის მხოლოდ სუნთქვა.

გარინდებული იყურები გარეთ ნახევრად გაღებული  
კარის მიღმა.

ქარი არ ჰქონის.

საშინლად გიხარია იმიტომ, რომ გეზიზღება...

გიხარია, გიხარია, გიხარია...

თუმცა, სიმართლე გითხრა, არც კი იცი,  
ამწუთას რა გახარებს.

ალბათ ის, რომ გესმის მხოლოდ სუნთქვა,

ალბათ ის, რომ ხედავ მხოლოდ ცას,

ალბათ ის, რომ ბალიშზე გარინდებულს  
განძრევაც არ გინდა,

ან ოთხი ალოკილივით სლიპინა კედელი,

ან სართული, სართული რომ დაშენებია,

ან რაღაც, კიდევ უფრო რაღაც...

გეცინება...

ოცნება სიზმარია...

ხედავ: მხოლოდ ცისფერი, ცისფერი, ცისფერი....

თეთრმა ნაფლეთმა დაფარა მეორე ასეთივე თეთრი ნაფლეთი  
და შეგიკერა რძესავით თეთრი,

ოცნებასავით მსუბუქი და უსაშველოდ გრძელი კაბა...

უცბად შეეზარდა ყვავილი ყვავილს,

უზარმაზარმა თაიგულმა დაფარა მსოფლიო,

უცბად ატყდა ზარების რეკვა,

ახმაურდა მსოფლიო...

მერე... შემოეფლითა პირველი ნაფლეთი მეორეს და  
ცისფერში გაქრა...

ისევ თეთრმა დაფარა სხვა თეთრი,

ისევ შეიკრა და დაიფლითა.

დაუსრულებლობა დროსა და სივრცეში,

ყველაფერსა და არაფერში,

ცოტასა და ბევრში,

მთლიანსა და მაინც არაფერში.

დაუსრულებლობა.

ფაფუკ ბალიშზე გარინდებულს  
ოდნავი განძრევაც კი არ გინდა.

გეცინება,  
მაგრამ არ იცინი,  
იმიტომ, რომ არ გეცინება,  
ეცინება მხოლოდ შენს ოცნებას...  
გარეთ ცისფერი გალურჯდა, გამუქდა და ბოლოს  
გაშავდა...

ქარი.

და შენ აღარ გიხარია, რადგან გეზიზლება.  
წვიმა.

წვეთი, წვეთი, წვეთი...

უცებ თითქოს გრძნობა, რომ გესმის წვიმის,  
არა, უფრო სწორად, მხოლოდ ერთი წუთით გრძნობ ამას.  
ერთი წუთი.

ერთ წუთში დანაწილდა მსოფლიო უმცირეს ატომებად...  
შენი უთვალავი ატომიდან ერთ-ერთმა იგრძნო საოცარი  
სიახლოვე წვიმის წვეთის რომელილაც ატომთან...

სულ ეს იყო, ალბათ...

წვიმა.

მერე ისევ აგტკივდება ტკივილი,  
ისევ დაგახრჩობს რაღაც...  
მოპირდაპირე სახლის სართულები ერთი-მეორის  
მიყოლებით ნათდება.

ათი ათასი ნათურა...

ათი ათასი სიხარული...

ათი ათასჯერ ათი ათასი მწუხარება...

ათასი ხასიათი და

ათი ათასი ოცნება...

განძრევაც არ გინდა, მაგრამ....

შთაგონება...

მერე ცრემლი დაეკიდება ცრემლს

სიხარულის, სევდის, ლიმილის, ტკივილის...

არც ერთის,

რაღაც ათი ათასი საკმაზით შეზავებული  
უზარმაზარი გრძნობის,  
გამოუთქმელის...  
შთაგონება!  
ვერლიბრი, თეთრი, შავი და სულ ერთია,  
თუნდაც მწვანე, რითმის ჩარჩოებში ჩაკეტილი.  
ეწამები.  
წითელი, თეთრი, შავი და თუნდაც, მწვანე ბოლი.  
დაწყვეტამდე გეჭიმება ყველაფერი...  
ძახილი... მუქარა... ვედრება...  
ყველაფერი.  
თითქოს მიწვდი, მიაგენი, შეძელი!  
ზეამაღლდი, ზეაღმერთდი, ზე...  
უნებლიერ გეხუჭება თვალები და  
სადღაც, სულის სიღრმეში  
ამაზრზენად კივის მეფისტოფელი...  
დაწყდა.  
ჩაქრა.  
მწვანე ბოლივით შეერია შენს ირგვლივ ჰაერს...  
არა,  
არ დაყარო ფარ-ხმალი,  
დაუცადე  
ტკივილს!  
არაფერში ჩატეული ყველაფერი...  
პირიქით...  
რეალობა. მირაჟი.  
ყოველ წუთს, ყოველ წამს,  
ყოველთვის, ყველგან  
გხედავ, გიყურებ  
ახლოდან, შორიდან,  
მინებს ვუცვლი ათიათას სათვალეს,  
მილიონ ჭოგრიგს, მიკროსკოპს უთვალავს –  
თეთრს, შავს, წითელს, ლურჯს და  
სულ ერთია, თუნდაც მწვანეს, უთვალავს...  
გიყურებ!

## ზღავარი ჩემი...

წერამ აგიტანა...  
მრავალი წელი...  
დაუსრულებლად გტკივა რალაც, შიგნით, სილრმეში,  
სადღაც ძალზე შორს...

მრავალი წელი...  
მეფისტოფელი...  
ელაციცები ფროსტს და ელიოტს...  
მარტოობის ათასმა წელმა გაიარა და ისევ გიყვარს  
გალაკტიონი...

„ულისე“... „ულისე“...  
სინათლე ოდენ აგვისტოში ანათებს ჩვენს სარკმელს?  
ნუთუ მთელი ცხოვრება უნდა ვითამაშოთ  
ნაოცნებარ ყანაში, სადაც ბუმბულია მიწა,  
ზეცა – ლაჟვარდი, ადამიანები მგალობელი ჩიტებივით  
ეულურტულებიან ერთმანეთს და ეფერებიან...

შენ ხომ ასე გინდა – სადაც გაივლი, ია და ვარდი  
ამოვიდეს, რასაც შეეხები, ლალ-მარგალიტად იქცეს და  
საამო ხმაზე აჟღერდეს, ვისაც გაულიმებ, შემოგცინოს და  
სულზე მოგეფონოს, საუბარს გაუბამ და,  
ოქროპირად გადაიქცეს...

ჯადოქარი ხარ?  
კეთილი ფერია?  
ანგელოზი?  
თუ ღმერთი?  
ვინა ხარ?  
საიდან მოხვედი?  
საით მიდიხარ?  
რას ეწვალები?  
რას იტანჯები?  
რის პასუხს ეძებ?  
თუ მთელი ცხოვრება ისე გაივლის, რომ პასუხს ვერ

იპოვი, დაუკმაყოფილებელ, გაწამებულ სულს  
არ მიგიღებენ სამუდამო მხარეში?  
ან ცივ სამარეში ვერ ჩაატევენ შენს გაყინულ,  
გამოფიტულ ცხედარს?

იქნებ, სჯობდა, რამე გელონა, ხელი და ფეხი გაგენძრია,  
როსინანტზე ამხედრებულიყავი, გვერდით ერთგული  
მეგობრები შემოგეკრიბა (რა თქმა უნდა, იპოვიდი  
ერთი-ორს!) და დევების სახლი დაგერბია, თუნდაც  
შიშველი ხელებით. ადამიანები დაინახავდნენ შენს  
თავგანწირვას და შემოგეშველებოდნენ. ამასობაში თუ ამ  
საქმეს მსხვერპლად შეეწირებოდი, მათი შთამომავლები  
მოგიგონებდნენ, სოფლის წყაროს შენს სახელს  
დაარქმევდნენ, სიმღერებსა და ლექსებს მოგიძღვნიდნენ,  
წყაროს გარშემო ხეებსა და ყვავილნარს ააყვავილებდნენ  
და ბედნიერად იცხოვრებდნენ...

ან იქნებ სჯობდა, სახლ-კარი გაგეყიდა, ფული  
თაიგულივით შეგეკრა და ვინმე გაუბედურებული ლარიბ-  
ლატაკიისთვის გებოძებინა, შენ კი სადმე შორს, ახლობელ  
ნათესავებისგან ძალზე შორს, გაყინულ სარდაფში,  
რომელიმე ქველი სახლის კიბის ქვეშ დაგედო ბინა  
და დღედაღამ ან გეხატა რაღაც, ან გენერა, იქნებ ამ  
საქმიდან გამოსულიყო რაიმე, ლირებული და ხელიდან  
ხელში, თაობიდან თაობაში განძივით სატარებელი და  
საგოგმანებელი...

წერამ აგიტანა...

მრავალი წელი...დაუსრულებლად გტკივა რაღაც,  
შიგნით, სიღრმეში, სადღაც მიღმიერში...

მრავალი წელი...

მეფისტოფელი...

ელაციცები ფროსტს და ელიოტს.

მარტონბის ათასმა წელმა გაიარა...

და ისევ გიყვარს გალაკტიონი.

## კანონამა აწყურუ

I

დაწყება ყოველთვის სარისკოა და საძნელო,  
მაგრამ ვიწყებ.

პანორამული ტილო: ათასთავიანი გველეშაპი  
და ჩვენ ყველანი ფართოდ დაღებულ ხახაში...

ჩვენ, ადამიანის ფიტულები,

ჩალით გამოტენილ ჩვენსავე გვამებს  
დაგატარებთ ჩვენთვის მოზომილ წრეში,

საკუთარი ნებით გაბეცებულნი და

ღვთისმშობლის კალთას ამოფარებულნი...

ირგვლივ უფსკრულია,

წინ – ჯოჯოხეთის ცეცხლი და ოხშივარი...

ერთადერთი გზა ხსნისა:

სანამ სანთელი არ ჩამქრალა

და სრული ყიამეთი არ დაგვსადგურებია,  
მოვძებნოთ სვეტი ნათლისა,

შევუყენოთ ამ უსაზიზლრეს ყბებს,

სამუდამოდ გავაშეშოთ და ავხსნათ

ბოროტი ჯადო-ბორკილები!

II

კალამი არ იღლება,

სული კი ოხრავს და შფოთავს,

რანი იქნებიან ჩვენი ჩალით ნაკვები შვილები,

მერე იმათი შვილები,

და მერე კიდევ იმათი შვილები...

თითქოს ყველა ეძებს ტაძრისკენ მიმავალ გზას,

მაგრამ ტაძარი არ ჩანს...

ესე იგი ცუდად ეძებენ...

იციან კი, როგორია ტაძარი,

სად არის, ან როგორ უნდა მოძებნონ?!

### III

კალამი არ იღლება,  
ყველა წერს და ყველა კითხულობს,  
ყველა პოეტია, თანაც, თითქმის ყველა – ლირიკოსი,  
სულში უძვრებიან მთვარეს, ვარსკვლავებს,  
ხეებს და ტყეებს,  
ზღვებს და მდინარეებს,  
ათასფრად უვარცხნიან ქოჩორს,  
ხან წალმა გახედნიან, ხან – უკულმა,  
ხანაც საკუთარ გრძნობებში იხლართებიან  
(თუ შესაძლებელია, ფიტულს გააჩნდეს რაიმე გრძნობა,...)  
ყველა პოეტია – უხელფასოდ და უჰონორაროდ  
(ფიტული მაინც რაში გამოიყენებს!)...  
ყველა რაღაცის პრეზიდენტია და მინი-მეფე,  
ჩალაგამოჩილ ძონძებში გამოწყობილი.

### IV

სული ოხრავს და შფოთავს,  
გადარჩა კი, ვინმე მოაზროვნე, ფიტულებს შორის?  
იქნებ, თავის გადასარჩენად  
ფიტულის ტყავშია გახვეული,  
რომ ბრძნული აზრები არ გამოუბერტყონ  
და ცეცხლში არ ჩაუძახონ,  
ეგ რა ღირსეული ფიტულის საქმეაო!  
ყველა ცოდვილია, საშინელი თუ უცოდველი  
ცოდვებით,  
ნებით თუ უნებლიერ და ყველა  
უცოდველობის სინდრომს შეუპყრია,  
ჭიანჭველების საზრუნავი თრგუნავთ და ანადგურებთ,  
აზრი და გონი აღარ ემორჩილებათ...  
ფიტულისტყავიანი მოაზროვნენი კი

ბუჩქის ჩრდილს შეფარებიან და  
გონებას იგრილებენ, ელოდებიან,  
რაღაცას ელოდებიან,  
მერე კი, მათ ყველას  
სიკვდილის შემდეგ აღმოაჩენენ  
და ძეგლებს დაუდგამენ....  
ვინ იქნება შემდეგი?

## V

ყველა კრიმინალია, წვრილფეხა თუ მსხვილფეხა,  
ერთი უჯოჯოხეთოდ იტანჯებიან,  
სხვანი კი, ერთი სახელმწიფოს ფას ცოდვიან შარბათს  
ნებიერი ქირქილით შეექცევიან...  
ეს ქვეყანაც ერთი დიდი საპატიმროა,  
რომლის გარშემოც ეკლიანი მავთულხლართები  
ჰაერივით გამჭვირვალეა...  
ყველას თავისი აქვს მისჯილი,  
ყველა თავისას იხდის და იღებს...

## VI

საკვირველია, არავინ იცის გზა ხსნისა,  
მაგრამ ყველამ კარგად იცის, რა უნდა აკეთოს,  
ჰარადოქსული სინამდვილეა და დილემა:  
ყველამ კარგად იცის, რა უნდა აკეთოს,  
მაგრამ მაინც,  
ჯადონაკრავი თავგამოდებით,  
უკუღმა ატრიალებს საერთო ჯარას,  
თითქოს ერთმანეთს ელოდებიან,  
წალმა ჯერ სხვებმა დაიწყონ და მერე  
ჩვენც მივყვებითო.

## VII

კალამი არ ცხრება და  
ახალ-ახალი ურდოები გადმოდიან შეტევაზე  
კოსმიური სიჩქარით და, ალპათ, კოსმოსიდან  
მოფრინავენ უხილავნი,  
უხილავი კვერცხის ნაჭუჭში ჩაისახებიან და  
იბადებიან, იზრდებიან,  
ნაირფრად ტრანსფორმირდებიან,  
მთელი ძალით ასკდებიან კედლებს...  
ნაჭუჭი იმსხვრევა... ისინი კი  
უსასრულობაში იფანტებიან...  
ნეტარებით ისვენებს კალამი...

## VIII

ნაჭუჭი მერე ისევ მრთელდება და  
ისევ იწყება თავიდან....  
არა, ეს ყველა შეტევაზე უარესია,  
აღარ ავიღებ ხელში კალამს,  
ენძელების ჩრდილში წამოვწვები,  
ცაში ცისფერ ფერებს დავთვლი,  
ოცნების ღრუბლებს ბავშვობისკენ გავეკიდები,  
მოვიხმობ თვალახელილ სიზმრებს  
და მივეცემი უსასრულობას...  
მაგრამ არ ცხრება კალამი.  
არ ვიცი, ფიტულის ბოლო  
კეთილია თუ ბოროტი, მაგრამ  
არ ისვენებს გამოფიტული ფიქრი:  
არ გამძიმებს სულის ამოხდომამდე  
ფიტულის ჯავშან-აბჯარი?  
გაქვს კი შენ,  
ყველასთან ერთად ცოდვილ ფიტულს,  
რაიმე ძალა და უფლება?  
ჩვენშია გზა ხსნისა?

ჩვენშია გზა ხსნისა?  
ჩვენშია ჩვენი ნათლის სვეტი?

## IX

იქნებ იქ უნდა დავდგეთ, სადაც ქარიშხალია,  
უკვე დიდი ხანია, ვდგავართ ქარში, ცეცხლსა და წვიმაში,  
აფუხფუხებულ ვულკანებსა და გეიზერებს შორის,  
სისხლიანი ანგელოსიც დიდი ხანია, მოკვდა,  
ახალ ანგელოსებს კი სისხლი აქვთ გამშრალი.  
მოწოდებებით, მოთქმით და სახალხო ვიშვიშით  
არაფერი გამოდის.  
შესაძლოა, კიდევ არის დრო,  
ვისაც ჯერ კიდევ უჭრის ენა ლექსად და  
ტვინი გონებად,  
თითო-თითოდ კი არა,  
ერთ მშვენიერ დღეს ყველას ერთად დაგველაშერა  
ყველა დიდი და პატარა მწვერვალი,  
დავცემულიყავით მერე პოემად ღალადისა  
ამ ქვეყნის თვალწინ  
და ვმდგარიყავით ასე,  
ვიდრე არ ადუღდებოდა ქვა და მიწა  
და მაცოცხლებელ ნაკადად წალმა არ წამოიღებდა  
მოჯადოებულ მსოფლიოს...

## X

უცვლელი პანორამა: ათასთავიანი გველეშაპი  
და ჩვენ ყველანი – ფართოდდაღებულ მახინჯ ხახაში.  
არ იღლება კალამი...  
არ იღლება კალამი...  
არ იღლება კალამი...

## ქართული სოციალური სტრუქტურები

- კახური ღვინოა, დავლიოთ? გუშინ ჩავაციე.
- არა, ცუდად ვარ, არ შემიძლია, თუ გინდა, შენ დალიე.
- რა მოგივიდა?
- მგონი გავცივდი, ყელი მტკივა.  
იღიმები.
- ამ სიცხეში რამ გაგაცია? დავლიოთ, რა?
- არ შემიძლია.
- ძალიან გთხოვ!

როგორი ვიწრო და მწვანე თვალები აქვს.  
უინტერესო გამოხედვა.  
უსიამოვნო შეგრძნება.

სულ უნდა ეცადო, მის თავმოყვარეობას არ შეეხო,  
რომ არ დაიბნეს და არ დაირღვეს მოჩვენებითი  
წონასწორობა.

აივნის ორივე კარი ღიაა.

გახუნებული მოცისფრო-მოვარდისფრო ფარდა  
ოდნავ ფრიალებს,

გარეთ ერთი ხეც კი არ მოჩანს.

არც ერთი მწვანე ფოთოლი.

ოხშივარი ასდის ყველაფერს და ყველაფერი  
გადამწვარი ბალახისფერია.

— იცი, რას მინდა გაუმარჯოს?

არა, არ ვიცი...

— გაუმარჯოს!

სიცხემ ტვინზეც კი მოგიჭირა მარწუხები.

ნაპირზე გამორიყული თევზივით ღაფავ სულს.

არ იმჩნევ.

სასაცილოა სიცხისგან გამოწვეული სასოწარკვეთილება,  
თუნდაც ამ მომენტში.

თუმცა, ისტორიული არაფერი ხდება.

ვიღაც სმის ხასიათზეა, ვიღაც – ლაპარაკის...  
 არავინ გეგულება ისეთი,  
 დილიდან საღამომდე შიშველი ეგდოს ლოგინზე და  
 მხოლოდ იმაზე ფიქრობდეს, რომ საშინელი სიცხეა.  
 შენ რა გამონაკლისი ხარ ასეთი...  
 შენ სწორედ ამას გააკეთებდი, რომ შეგეძლოს,  
 არც ჭამა გენდომებოდა, არც – სმა,  
 არც არავითარი სამსახური.  
 გართობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.  
 იქნებოდი მთელი დღე ლოგინზე გაშოტილი და  
 დაუცდიდი სექტემბრის გრილი ქარების ქროლვას.  
 იცოცხლე, ქარი აქ გადასარევი იცის...  
 – მოდი რა, პარკში წავიდეთ, ნავებზე!

\* \* \*

წინა დღით ვიყავით.  
 – მომეხმარე, თორემ გადავყირავდებით!  
 – ცურვა ხომ იცი?  
 – სულაც არ ვარ ამ ჭაობიან წყალში ბანაობის ხასიათზე.

ციხის ნანგრევებთან მოჩანს მინიატურული პლაჟი,  
 სამი-ოთხი ხის სოკო-საჩრდილობელი, ფერადი კამერები,  
 საბანაო კოსტუმები, გარუჯული სხეულები დაწოლილ,  
 დამდგარ და დამჯდარ პოზაში. სახეებზე არ აკვირდები,  
 ძალიანაც რომ მოინდომო, ვერაფერს ამოიკითხავ, ყველა  
 საზრუნავი ალბათ პარკის შემოსასვლელთან დატოვეს.  
 ისვენებენ, ბატონო!

\* \* \*

როგორ შეიცვალა ამინდი, თითქოს ნოემბერს შეეშალა  
 და ივლისის მაგიერ გვეწვია... თუ ბუნება არასოდეს  
 უშვებს ასეთ შეცდომებს? უშვებს, რა თქმა უნდა, უშვებს,  
 მაშინ, რატომაც არ შეიძლება დავიჯერო,  
 რომ ახლა ნოემბერია?

თავიდან ბოლომდე შალში ვარ გახვეული და მაინც მცივა.  
ქარმა დაწერილი ფურცლები ააფრიალა და ძირს  
გადამიყარა, მე კი არ მინდა ადგომა... ცივა...

\* \* \*

- მივიდეთ ნანგრევებთან?
- თუ ხელები გემორჩილება, მივიდეთ!
- არქეოლოგები მუშაობენ.
- ვიცი, ზაზა შემხვდა იმ დღეს, მაგრად გარუჯულა,  
მზის გულზე დილიდან სალამომდე ვმუშაობთო.

\* \* \*

ზაზა.

ნოემბერი. ლამაზია პარკი ამ დროს.  
მსუბუქი ნისლი გამჭვირვალე ფარდასავით ჰკიდია ცამდე  
აზიდულ უთვალავტოტებიან ხეებს შორის.  
ხეები რომელიდაც ინდურ ლვთაებას მაგონებენ.  
კაცი შვილი არავინაა ჩვენს მეტი.  
ხელისგულისხელა (ზაზას ხელისგულისხელა, რა თქმა  
უნდა!) ფოთლებისგან აკინძული წითელ-ყვითელი ხალიჩა  
უცნაური ხავსივით მოსდებია მინას,  
ქვაფენილს, ბორცვებს.  
ნელა მიაცურებთ ფეხებს.  
ფრთხილად, არ გააფუჭოთ ხალიჩა!  
ტკაც, ტკაც, ტკაც!

\* \* \*

- მე კიდევ დავლევ, ძალიან მომეწონა. ყვარლიდან  
ჩამოგვიტანეს. ცოტა გასინჯე მაინც, გაგრილდები.
  - იქნებ ჰაერზე გავსულიყავით!
- გარეთ ახლა მარტო იდიოტები დასეირნობენ.

— ბავშვებს გაუმარჯოს!  
 საოცარია, თვალები ისევ ისეთი აქვს.  
 იგივე გამომეტყველება.  
 სადღეგრძელო აღმაფრენის გარეშე.  
 ცხოვრებაც.  
 რომ ჰკითხო, ეგ ყველაფერი რამდენიმე წლის წინ  
 მქონდა, როცა ვცეკვავდი ანსამბლში, მერე, ცეკვას თავი  
 რომ დავანებე, მიწაზე დავეშვიო.  
 თავს იმართლებს, უკვე სხვანაირად აღარ შემიძლიაო.  
 მე კი არ მჯერა.  
 ისეთი რა საყრდენი უნდა გქონდეს ფეხქვეშ ადამიანს,  
 რომ ოცნებითაც კი არ შეგეძლოს ცისკენ გაფრენა,  
 მზესთან, ვარსკვლავებთან, მზის იქითა, ვარსკვლავებს  
 იქითა სამყაროსთნ მიახლოება.  
 ამიტომაც მშურს შენიო, ასე მითხარი. არა, მშურსო, არ  
 გითქვამს, ამიტომაც მომწონხარო.  
 მაგრამ მე მაინც ვერ აღმოვაჩინე შენს სიტყვებში  
 ლოგიკა.  
 ნიავმა დაუბერა.  
 — რამდენს ნიშნავს მაინც პირველი შთაბეჭდილება.  
 პირველად რომ გაგიცანი...

\* \* \*

ექსკურსია ციხის ნანგრევებზე.  
 სერიოზული ექსკურსია.  
 სერიოზული ექსკურსიამძლოლი.  
 როგორც იქნა, ავბობლდით ყველაზე ამაღლებულ  
 ნანგრევზე.  
 — აქედან ყველაფერი ხელისგულივით მოჩანს.  
 ექსკურსია ქალაქის წარსულში დაიწყო.  
 — ბოსტან-ქალაქი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქალაქმა  
 ეს სახელწოდება აყვავებული ბალ-ბოსტნების გამო  
 მიიღო. „ვოსტან“ აღმოსავლური წარმოშობის სიტყვაა

და ნიშნავს „საუფლისწულოს”. ეს ქალაქი ვახტანგ გორგასალმა თავის უფლისწულებს აუგო და ამიტომაც ეძახდნენ მას „ვოსტანქალაქს”, შემდეგში „ვ” გადაკეთდა „ბ”-დ და მივიღეთ ბოსტან-ქალაქი, ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა.

— იმ ჩამონგრეულ კედელს ხომ ხედავთ...  
ჩხაკუნობს ფოტოაპარატი.

— ზაზა, გაიცინე!  
— კობას გვერდით დადექი!  
— ვიღებ!  
— ახლა შენ!

— დედიკო, მეც გადამაღებინე, რა?  
პეპელა!  
— ახლა ბავშვი ჩაიყენეთ შუაში, გაიცინეთ! კობა, ნუ  
მაიმუნობ.  
— დედიკო, დაიცადე, ყურში რაღაც უნდა გითხრა.  
მორბის.  
— ზაზაც კარგია და კობაც, არა, დედიკო?

შენ ნელა გვიახლოვდები, ბავშვს ბუმბულივით აიტაცებ  
ჰაერში და ტრიალებ, ტრიალებ...  
ბედნიერი კისკისით ივსება არემარე...

\* \* \*

— იცი, თავიდან საშინლად ამპარტავანი მომეჩვენე.  
თქვენს საახლობლო წრეში რომ მიხდებოდა მოსვლა,  
სულ ვნატრობდი, ნეტავ იქ არ იქნებოდეს-მეთქი. ახლა  
ვხვდები, რატომ. შენი იქ ყოფნა მბოჭავდა და ვეღარ  
ვგრძნობდი თავს თავისუფლად.  
აი, თურმე რა!.

— იმდენი საოცარი და ლამაზი თვისება აღმოვაჩინე  
შენში...

\* \* \*

ექსკურსია დამთავრდა.

ისინი ფეხბურთის საყურებლად წავიდნენ.

ჩვენ პარკში დავრჩით.

\* \* \*

— შენ ხომ ვერასდროს იფიქრებდი, რას ვგრძნობდი  
თავიდან შენს მიმართ. ვერც მერე, როდესაც  
საპირისპიროდ განვეწყვე. ყოველთვის ვცდილობდი, არ  
გამომემჟღავნებინა თავი და ახლა...  
და ახლა რა?

სასმელი გულახდილს ხდის ადამიანს.

— გაუმარჯოს გულახდილობას! გაგიმარჯოს შენ!  
არასოდეს მეგონა, ასეთი საოცარი თუ იქნებოდი,  
თითქოს გიცნობ და არც გიცნობ, სწორედ ახლა და  
სწორედ დღეს მივხვდი, რომ ჩვენს შორის არსებობს  
რაღაც უსახელო ზღუდე, რომლის იქითაც ყოველთვის  
დარჩება რაღაც ამოუხსნელი. რატომლაც ძალიან ბევრ  
რამეს მივხვდი დღეს.

მე მგონი, შენს გვერდით ყოფნა მინათებს გონიებას...  
ჰმ! აბა, ახლა რაღას იტყვი ამაზე, ქალბატონო სფინქსო?  
ეს ცივი და ცარიელი სახლი სინამდვილეა.  
ეს მუშამბაგადაფარებული მაგიდაც აქ არის,

ახლოს, შენს გვერდით.

ორადორ სკამზე თქვენ დამჯდარხართ,

არა, თითქოს სამუდამოდ დაწებებულხართ.

რომელიღაც ძველი უურნალით ინიავებ დასიცხულ სახეს.  
მწვანე თვალები კედელზე გაცრული

შპალერის ფერს ეხამება.

მაგიდის შუაგულიდან ამოწვერილი ნახევარმეტრიანი  
წითელი შუშის რაკეტა-სუვენირი, ვერც კი  
მომიფიქრებია, რომელ ინტერიერს დაამშვენებდა.

სასმელი.

ჭიქები.

ნამცხვარი.

სიგარეტის ნამწვავები თუნუქის კონსერვის  
ცარიელ ქილაში.

ირიურაჟა.

წყალიც მოვიდა.

ჰო, რას ფიქრობ ამ სინამდვილეზე,

ქალბატონო სფინქსო?

თუ ეს ყველაფერი სინამდვილეა, მოჰკიდე ხელი  
აი, იმ იაფთასიან ხალიჩას, გაფინე შუა ტრამალზე,  
გახუნებული ფარდის იქით რომ მოჩანს, ვითომ  
უდაბნოა, საპარა, დახუჭე თვალები იმაზე, რომ მიწიდან  
სოკოებივით ამოზრდილან სიცხისგან გადათეთრებული  
სახლები, დაჯექი მერე და გაიქვავე ღიმილი.

როდესაც გაივლის უთვალავი წამი – დროის  
კრიალოსანი და შენს ღიმილს მწვანე ხავსი დაფარავს,  
მოვა ვინმე დაქანცული ტურისტი და შენს ლოდებზე  
მკერდს გაიგრილებს.

## ქს ღონიშვილის!

ეს ლოცვა იყოს იმათთვის,  
ვინაც აკვნიდან გაითავისა,  
ერთ ლოყაში სილას რომ გაგაწნავენ,  
მეორეც მიუშვირეო...  
ეს ლოცვა იყოს იმათთვის,  
ვისაც სათუთი ყვავილივით თავს ევლებოდნენ და  
ძილის წინ, ბოროტ გველეშაპთან მებრძოლი  
მზეჭაბუკისა და  
ათასი მტრისაგან დატყვევებული  
მზეთუნახავის ზღაპრებს უყვებოდნენ...  
ეს ლოცვა იყოს იმათთვის,  
ვისაც მეოცე საუკუნის დასასრულის  
ცივილიზაციის ანა-ბანას აცნობდნენ და  
ეჩურჩულებოდნენ, რა ლვთისრისხვაც უნდა  
დაგატყვეოთ თავზე,  
ეტიკეტი არამცდაარამც არ დაარღვიოთო...  
ეს ლოცვა იყოს იმათთვის,  
ვინაც მშობლის ყველა ლამაზი სურვილი აღასრულა:  
ლექსიც ისწავლა, ცეკვაც და მღერაც  
მათ საამებლად და გამოსაჩენად,  
ვის სულსაც მარტო ლექსად, ცეკვად  
და მღერად არ დამჩნევია  
სწავლის ბეჭედი,  
ვისთვისაც „აი ია“  
უპირველესი აღმოჩენის ტოლფასია,  
ვინც შვლის ნუკრივით განიცადა  
სამშობლოს გულში ნასროლი ტყვია,  
ვისაც ატმის რტოს დაღალულმა ფიქრმა დაათოვა და  
ვინაც ცხადად იგრძნო, როგორ შემოჰვია  
ფანჯრიდან შემოჭრილმა თუთამ წელზე ხელი...  
ეს ლოცვა იყოს იმათთვის,

ვისაც მომავალს ცისფრად და  
ვარდისფრად უხატავდნენ,  
თან შორეული წარსულის ჩამქრალი გმირობის  
სიმღერებს უმღერდნენ იავნანად  
და ხშირად მოაგონებდნენ,  
დღეს თქვენი საქმე  
მხოლოდ ლამაზად წერა,  
ლამაზად მღერა და  
ლამაზად თავისდაჭერააო...  
ეს ლოცვა იყოს იმათვის,  
ვინაც ასე მოულოდნელად,  
ასე ლაღად, ასე ხალისით  
გამოატარა გულში ის მარცვალი,  
ანაზდეულად ხნულში გადაგდებული  
და ვინაც, იქნებ, ჯერ ვერც გაითავისა, რომ  
ყველა კაცი არაა ადამიანი,  
ან ჯერ ვერ ჩასწვდა  
სულში გენიით ატეხილი  
ლერწმის რეცვა  
ვის უხმობს, ან  
საით უხმობს...  
ვინაც დატყვევებული დედის პირველ წამოკვნესებაზე,  
ძუძუს რომ ჰკვეთდნენ,  
ქარის წისქვილებთან საბრძოლველად გასწია,  
ეგონა, უხილავი ჯალათის აურაცხელ კარვებს  
ჩასჭრიდა და ჩააქარაბაკებდა,  
მერე იმის ნაშიერს გულს მისცემდა გულისათვის და  
გზად და ხიდად გადებული სიყვარულით შეაჩერებდა...  
ეს ლოცვა იყოს იმათვის,  
ვინაც ამ უთანასწორო ბრძოლაში დაეცა და  
ვერ შეესწრო მკერდმოკვეთილი,  
სულთმობრძავი დედის გოდებას...  
ეს ლოცვა იყოს იმათვის,  
ვინც დედის ძუძუს ნათელი

საქვეყნოდ გამოაბრნებინა,  
 საქვეყნოდ იმათთვის,  
 ვინაც ცოცხალია,  
 ან ახლა იბადება და  
 ვისთვისაც სამშობლო  
 მარტო ლურჯი მთები არ არის,  
 ან დედაენა –  
 მარტო საყველბურო ქართული,  
 ან, ვინც ნიადაგ მხოლოდ იმას არ ფიქრობს,  
 ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეა და  
 სხვა ყველაფერი წყალსაც წაუღიაო...  
 ეს ლოცვა იყოს იმათთვის,  
 ვინც მოყვარეს ეძებს და ჰპოულობს,  
 მტრებს არ იმრავლებს  
 და არ დავიწყებია, რომ  
 ერთ დროს ჩვენი მძლეთამძლე მამა-პაპანი  
 მისცემდნენ გლახაკთ საჭურჭლეს და  
 მონებს ათავისუფლებდნენ...  
 ეს ლექსი იყოს იმათთვის,  
 ვისაც დღეს ხელეწიფება  
 და იღვწის იმისთვის,  
 რომ ერთი მუჭა ლალი თვისტომნი  
 არ დაამონოს და  
 გლახაკად არ აქციოს...

დაე, ეს ლექსი იყოს იმათთვის,  
 ვის სულსაც მზე და შუქი ადგება,  
 ვისაც ეს ლექსი გულზე მოხვდება...  
 მე ეს მეყოფა გამოსარჩლებად!

## ოცნება

მოდი ჩემთან, ჩემო ლამაზო,  
მოდი, თავზე ხელი გადაგისვა,  
დაგაპურო და დაგარწყულო,  
ვინ ღვთისნიერმა მაჩუქა შენი თავი?  
ბავშვობის რომელ სათამაშოს მოგაყოლა  
უსახური ყუთით?

ზედაც არ გიყურებდი მაშინ..  
ან კი შენთვის სად მეცალა,  
ის იყო, „აი ია“-ს დამარცვლა ვისწავლე,  
რომ ერთ მშვენიერ საღამოს  
თავად გამომეცხადე და გამეცანი.  
იმ საღამოს რა დამავიწყებს!  
მთელი დღის ანცობით დაღლილი,  
ტახტზე ვიწექი და ნებიერად ვათვალიერებდი  
ჩემი ოთახის ავლადიდებას.  
უეცრად, ორ დათუნიას შორის  
მიგდებული ყუთი საეჭვოდ შეტოკდა,  
თავსახური უხმაუროდ გადავარდა გვერდზე  
და დაგინახე შენ,  
ასე ამაყი და ლამაზი...  
მერე, კოხტა ფეხები ჩემსკენ რომ გადმოდგი  
და ოქროსტალლებიანი თავი კალთაში ჩამიდე,  
ჩემს გაოცებას აღარ ჰქონდა საზღვარი.  
იმ დღიდან ჩემს სიზმრებს შენ აფორიაქებ,  
შენა ხარ ჩემი ლამეული საოცრება,  
მზის სხივებთან ერთად რომ ქრები,  
რამდენჯერ ჩამიწვენიხარ საწოლში,  
ჩემთან ერთად ნაქროლ-ნავალი  
და ხელებიც მჭიდროდ შემომიხვევია...

მაინც მისხლტები და მეპარები.  
 ხან კარის ჭუჭრუტანიდან გეძახი,  
 ხან კარადის ყველაზე ბნელ კუთხეში გეძებ,  
 ხან ფანჯრის მინებზე არეკლილ  
 ნამგალა მთვარეზე ჩამოჯდები და მიცინი,  
 ხან დახურული წიგნის ფურცლებიდან გადმოდიხარ...  
 ასეა ყოველთვის.

რომ დალამდება,  
 დადგები შუა ოთახში ჯიუტად თავაღერილი  
 და იცდი, როდის შემოვალ,  
 მოგეფერები და დაგაპურებ...  
 მერე ერთად ვისმენთ

ჩემი ანცი შვილის ნებიერ ფშვინვას და, ჰერიი!  
 წამოდი, დღესაც კვლავინდებურად  
 გადავხედოთ ღამეულ ქალაქს.  
 ყველას სძინავს ნეტარი ძილით...

რამდენი ქალი და კაცია,  
 დიდი და პატარა,  
 მსახური თუ კეიისარი,  
 ხომ გაგონებს მიძინებულ ნახატებს  
 ბოტიჩელის, ან რენუარის...

რა კარგია, რომ დღისით ვერ ხედავ,  
 რამდენი უამური ზაკვა უკრთებათ თვალში,  
 იღვიძებენ და იწყება ჯოჯოხეთური კარუსელი...  
 წამოდი, წამოდი, არ შეგცივდეს,  
 სახლის სახურავს შევაფაროთ თავი და მერე  
 ლალად გავწიოთ იმ აქოჩილი ქარაფებისაკენ,  
 ცისფერ შუქს რომ გვანათებენ თვალებში.  
 ნეტავ შემეძლოს სამუდამოდ შენთან დარჩენა,  
 ჩემო ნაფერებო და ნასათუთევო,  
 როგორ ვიქცეოდით მე და შენ

შხაპუნა წვიმის წვეთებად,  
ან კუნელის მძივად,  
ველ-მინდვრებად,  
ან ღრუბლების ქარავნად...  
მაგრამ მე უპირველესად დედა ვარ – დედა!  
და ჩემი შვილის მშვიდ ძილს ვერ ვუღალატებ...  
ყოველ საღამოს,  
როდესაც დაღლილი შინ ვბრუნდები,  
ტკივილს ვიყუჩებ,  
მერე ვჯდები და გელოდები,  
რომ კამკამა თვალები დაგიკოცნო  
და ვინატრო,  
როდის გათენდება ის ბედნიერი დღე,  
როცა გაიზრდები და გაძლიერდები...  
მერე მე და შენ ერთად ჩავივლით  
ჩემი ქალაქის მზიან ქუჩებში,  
მოვძებნით ჩვენს გზააბნეულ და-ქმებს, მეგობრებს  
და სიკეთეს ერთად დავუდგებით დარაჯად!

## ჰვილა!

### და ჰვილის ჰვილები!

გამორჩეულად გამორჩეული მინდა იყოს ეს ლექსი!  
აქამდეც მინდოდა...

გამორჩეულად გამორჩეულ სიტყვებს ველოდებოდი,  
გასაოცარ ფრაზებს,  
გასაოცარ რითმებს,  
ზეალმატებულს და ზეკეთილხმოვანს,  
ისეთს, რომ წაიკითხავ და  
გული საგულედან ამოგვარდება,  
თავბრუდამხვევი ურუანტელი მეცხრე ცაზე აგისვრის,  
სიამოვნებისგან სუნთქვა გეკვრის და  
ბედნიერი ცრემლები თავისთავად მოჩქეფს და მოჩქეფს...  
ველოდებოდი და ველოდებოდი,  
ველოდებოდი და ველოდებოდი,  
ველოდებოდი და ველოდებოდი...  
ამაოდ!

ვის გავაგებინო, რომ ჩემი სიყვარული  
სრულიად განსხვავებული და უკიდეგანოა,  
მსოფლიოს ფარავს,  
სამყაროს ფარავს...  
თუ ვინმე დასაბამიდან დედად დაბადებულა,  
ვიდრე დღემდე და  
ვიდრე ჩემამდე,  
ჩემი სიყვარული ყველასი ერთად სიყვარულია,  
მარტო ჩემია!

და ეს სიყვარული ის სიმღერაა, ძილისპირული,  
ღმერთსაც რომ ესმის და ნეტარებს,  
ის ლექსები და ზღაპრებია,  
სულ სხვა თვალით რომ კითხულობ,  
ის ოცნებებია, სულ სხვა კოშკებს რომ აგებ,  
სიკეთისა და სიბრძნის აგურებით ამაღლებულს,  
სამართლიანობის დროშებით დამშვენებულს,

ავთვალდამარცხებულს,  
მტერდასამარებულს....  
რადგან ადამიანს ორი თვალი აქვს,  
ოთარაანთ ქვრივმა ერთი თავისთვის,  
მეორე – შვილისთვის უნდა გაახილოს ფართოდ...  
მე კი არ ვიცი, როდის გამეხილა მესამე თვალი,  
მეოთხე, მეხუთე...  
როდის გამომება მესამე ხელი,  
მეოთხე, მეხუთე...  
როდის მომეცა ჰერკულესის ძალა და  
ატლანტების მხრები...  
მაგრამ ვიცი, რომ ჩემი სიყვარული  
დაჰქრის ერთი მთიდან მეორემდე,  
ერთი ზღვიდან მეორემდე,  
ერთი ოკეანედან მეორემდე  
და აწესრიგებს მარადიულ დედაშვილობას!

## დაგვისტუნებ!

ძალიან ლამაზი იყო ქალაქი.  
ქალაქში ბედნიერი ხალხი ცხოვრობდა.

სიყვარული და სიხარული დასეირნობდა ქალაქის  
ფართო ქუჩებში, შადრევნებს ამღერებდა და ფერად-  
ფერად ფოთლებს დააფართატებდა კოპტია სკვერებში,  
ზღაპრულად მორთულ პარკებში... ბავშვების  
ბედნიერი სიცილ-კისვით იყო სავსე ჰაერი ცამდე და  
ცისარტყელებამდე, მოოქროვილგუმბათიანი ტაძრების  
სიმაღლემდე და სიქათქათემდე.

ძალიან ლამაზი იყო ქალაქი...

ბედნიერი ადამიანები ვერ ხვდებოდნენ,  
რომ ბედნიერები იყვნენ, წუწუნებდნენ, კინკლაობდნენ,  
კამათობდნენ პოლიტიკაზე, ათასგვარ წვრილმან  
თუ მსხვილმან თემებზე, ჩხუბობდნენ, რიგდებოდნენ,  
ქორწინდებოდნენ, მერე ერთმანეთს შორდებოდნენ,  
სამსახურში დადიოდნენ, ან არ დადიოდნენ, დარდებს  
იქარვებდნენ, ან ვერ იქარვებდნენ, მაგრამ ვერ  
ხვდებოდნენ, რომ ბედნიერები იყვნენ.

ძალიან ლამაზი იყო ქალაქი...

მერე, ერთ დღესაც, დაიგრუხუნა, ცა გადაიხსნა და  
წამოვიდა თქეში და წარღვნა, ჭურვები პირდაპირ  
ქალაქის ცენტრში დაეცა, ქალაქის ყველა შენობის მინა  
დაიმსხვრა, მერე ყველა შენობა ნელ-ნელა  
ნანგრევებად დაიშალა.

ამ ქალაქის გვერდითაც იყო ასეთივე ქალაქი, ლამაზი და  
ბედნიერი, კიდევ სხვა ქალაქიც და კიდევ სხვა  
და კიდევ სხვა...

ღმერთო, ნუთუ ამხელა ქალაქებს, შენობებს, ქუჩებს,  
მოედნებს, ყველას დომინოს პრინციპი აერთიანებს  
და დღემდე ყველაფერი იმსხვრევა და ნადგურდება...  
გამოშიგნულ სხეულებს დაემსგავსა ყოველი...

სადღაა ბედნიერი, ადამიანური ჩხუბი და კამათი,  
ქალაქის ქუჩებში უდარდელი ხეტიალი  
თუ საქმიანი სირბილი.  
სიკვდილი და უბედურება დასეირნობს ახლა ქალაქში,  
შეძრწუნებული ადამიანების ოხვრა და გმინვა ისმის  
ცამდე და, ალბათ შორეულ გალაქტიკებსაც  
სწვდება ეს ხმა და ძახილი...

შავი აჩრდილი დადის ქალაქიდან ქალაქში, შავი  
აჩრდილი თავისი შავი ხელით შლის დედამიწიდან  
სილამაზეს და ბედნიერებას.

ყოვლისშემძლე ღმერთო, განახვნე ცის კარი  
და დაგვანახვე შენი სამართალი, ღვთის რისხვა  
დაატეხე თავზე ადამიანების ტყავში შემოპარულ  
სატანებს, დაუბრუნე თავის კუპრსა და ჯოჯოხეთს,  
ჩვენ კი ჩვენი ქალაქები დაგვიბრუნე, დაგვიბრუნე  
დედამიწა, დაგვიბრუნე ჩვეულებრივი ადამიანური ყოფა,  
ერთმანეთის სიყვარული,  
ადამიანური სითბო და მშვენიერება!

ძალიან ლამაზი იყო ქალაქი...  
ქალაქში ბედნიერი ხალხი ცხოვრობდა....

## ჩემს გეითხველებს!

თქვენ ამჩნევთ, გრძნობთ, როგორ ბრუნავს, როგორ ტრიალებს ჩვენი პლანეტა – დედამიწა? რა თქმა უნდა, არა! არა, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით: ვერა! მაგრამ „ის მაინც ბრუნავს!..“ ბრუნავს და იცვლება წელიწადის დრონი... წლები მოდის, გვემატება... მერე მიდის, მიდის კი არა, მიჰქრის... და ჩვენ გვაკლდება... მაგრამ არა უკვალოდ. წელთა, დროთა მიმოსვლაში უამრავი ფიქრი გვეწვევა, საამოცა და უამურიც.

და ეს ყველაფერი: განცდილი, ნაგრძნობ-ნაფიქრალი გვიჩენს სათქმელს... სხვისი რა გითხრათ და, მე ეს სათქმელი, ტკივილიანი თუ სიხარულიანი, სევდიანი თუ იმედიანი, არასოდეს მტოვებს, ყველგან და ყოველთვის ჩემშია. თანაც, არა ისე, უბრალოდ... თავს მახსენებს, არ მასვენებს... მერე ჩემში ვეღარ ეტევა, მოდის, თავისით მოდის, ჩემიდან ისევ ჩემში მოდის... ოღონდ ჯერ გულსა და სულში, გულსა, სულსა და გონებაში გამოივლის და მტოვებს... ასე ჩნდებიან ქალალდის ფურცლებზე... ლექსებად! ასე გაჩნდნენ ჩემი ლექსები. მერე ლექსები აიკინძა წიგნად – „ქალბატონო სფინქსო!“

ჩემი ლექსებით თქვენ გესაუბრებით ჩემზე, ჩემს სულიერ სამყაროზე... თქვენ გიმხელთ და განდობთ ჩემი სულის თრთოლვას... მეტიც, ეს ლექსები თვითონ ვარ, მე ვარ! ისინი მგვანან მე და მე ვგავარ მათ.

ერთი ფიქრიც თან შდევს: აი, თქვენ ხელთ გაქვთ ჩემი ლექსების წიგნი... კითხულობთ, ან ისმენთ ჩემს ლექსებს, ჩემი გულის, სულისა და გონის ამოძახილს... ჩემი განცდილ-ნაგრძნობ-ნაფიქრალი და სათქმელი როგორ მოვიტანე თქვენთან, თქვენამდე? მიიღეთ? იზიარებთ? ამას თქვენ რომ გკითხავთ, ჩემს თავსაც ვეკითხები: ყველაფერი თქვი, რის თქმაც გინდოდა შენი ლექსებით? თქვი და, როგორ თქვი? ან: მარტო შენი, შენი სათქმელი

თქვი? მარტო შენი სიხარული და ტკივილი გამოთქვი? ან: ის ტკივილი თუ სიხარული, შენი პირადულია თუ პიროვნული? ამ კითხვებზე პასუხს თქვენგან მოველი, მე კი გეტყვით, რომ ჩემი პირადული და პიროვნული არა-სოდეს გამიყვია ერთმანეთისაგან... ვერც გავყოფდი, მე ხომ ჩემი ქვეყნის შვილი და ჩვენი – თქვენი და ჩემი საზოგადოების წევრი ვარ, ერთ-ერთი თქვენგანი, თქვენიანი ვარ!

იმასაც გეტყვით, რომ თქვენთვის შემოთავაზებული ჩემი ლექსების წიგნი მარტო წიგნი როდია, მე ამ ლექსების, ამ წიგნის დედა ვარ და ის ჩემი შვილია, ისევე, როგორც ჩემი ერთა, ღვიძლი შვილი – ნათია... ორივე ჩემია, ორივე ჩემი პირმშოა, ორივე ძალიან მეძვირფასება და მესათუთება და მეამაყება!

თქვენ კითხულობთ ჩემს ლექსებს, ჩემს წიგნს, შედი-სართ ჩემს სულიერ სამყაროში და ალბათ გინდათ, უფრო მეტი იცოდეთ ჩემზე, ამ წიგნის ავტორზე: ვისი გორისა ვარ... საიდან მოვდივარ, ვისიდან მოვდივარ, ვინ ვარ, სად ვარ და...

დიდი ფრანგი მწერალი ეგზიუპერი ბრძანებს, ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო... ვეთანხმები მწერალს... ჩემს საკუთარ ლექსიაც მოვიხმობ: რა თქმაუნდა, ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ... მათ შორის მეც იმ საოცარი ზღაპრის ნაწილი ვარ, ბავშვობა რომ ჰქვია... მაგრამ, მე უფრო შორიდან ავითვლი... უფრო შორიდან, წინაპრებიდან მოვდივართ... ამიტომ, ბუნებრივია, მეც დავინტერესდი ჩემი წინაპრებით...

მამაჩემის მხრიდან ჩემი წინაპრების, იმნაიშვილების საცხოვრისი გურიაში, ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში ყოფილა. გადმოცემის თანახმად, ვინმე იმ მნათეს ტბის სიახლოვეს უცხოვრიათ და მათი გვარი – იმნაიშვილები იქიდან მოდის. ჩემი ბაბუა, მელიტონი

და ჩემი დიდი ბაბუა ლუკა იმნაიშვილები აზნაურები ყოფილან... მათ შესახებ მეტი ვერაფერი გავიგე.

დედაჩემის მხრიდან ჩემი წინაპრები ხარაგაულის რაიონის სოფელ ზვარედან იყვნენ, საიდანაც საცხოვრებლად ხაშურში გადმოსულან. დედაჩემის მამის მამა, სერგო ჩიტაძე, სახალხო მკურნალი ყოფილა, დედაჩემის მამა, ანუ ჩემი პაპა, დავითი იყო ექიმი-თერაპევტი, თბილისის ახალდაარსებული უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის პირველი გამოშვების კურსდამთავრებული. დედაჩემის დედის, ნინას მამა – იაკინთე გორგაძე, ბორჯომის ეკლესიის დეკანოზი ყოფილა. იაკინთეს მამას, იოსებ გორგაძეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შემდეგ სწავლა გაუგრძელებია თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1892 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაუმთავრებია და სოფელ ბაბის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდლად გაუმწესებიათ. დედაჩემის დედის დედა, მარიამ ვეფხვაძე, ულამაზესი ქალი იყოო... მე-20 საუკუნის დასაწყისში თავისი ფოტოსურათით სილამაზის კონკურსში გაუმარჯვნია და ყველაზე ლამაზი კავკასიელი ქალის ტიტული მიუნიჭებიათ.

აი, ასეთი წინაპრების შთამომავალი ვარ. აი, საიდან მოვდივარ. უფრო შორეული წინაპრების სახელს, ვინაობასა და რაობას ვერ მივაკვლიე.

ჩემი მშობლები: მამაჩემი, თათრახან იმნაიშვილი, იყო სპორტსმენი. დამთავრებული ჰქონდა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტი. ოცდაათ წელზე მეტი ხელ-მძღვანელობდა რუსთავის ბავშვთა სპორტულ სკოლას. დედას, ნათელა ჩიტაძეს, დამთავრებული ჰქონდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა წლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა რუსთავის №№3, 20, 8 საშუალო სკოლებში, წლების მანძილზე მუშაობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში საორგანიზაციო განყოფილების გამგედ.

ახლა ჩემზეც... წარჩინებით დავამთავრე რუსთავის შოთა რუსთაველის სახელობის №2 საშუალო სკოლა. ჩემს მშობლებს და ახლობლებს, ჩემი პაპისა და დიდი პაპის საექიმო-სამკურნალო მოღვაწეობის გათვალისწინებით, სურდათ, საგვარეულო ტრადიცია გამეგრძელებინა, ექიმი გამოვსულიყავი, მაგრამ მე სხვა გზა ავირჩიე... დავამთავრე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ინგლისური ენის სპეციალობით. დღემდე რუსთავის №8 საჯარო სკოლაში ვასწავლი ინგლისურ ენას.

მყავს ერთი ქალიშვილი – ნათია ესაკია, სიძე – ტარიელ ჩიჩილიძე, შვილიშვილები: ანზორ და ილია ჩიჩილიძეები, რომლებიც ამჟამად ამერიკაში, ქალაქ ნიუ-იორკში ცხოვრობენ. ანზორმა დაამთავრა ნიუ-იორკის უნივერსიტეტი (CUNY) ფინანსების განხრით და მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად ემზადება. ანზორის მეუღლე – ლილე ჯამასპიშვილი; მან დაამთავრა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (CAU). ილია სტუდენტია, სწავლობს იმავე უნივერსიტეტში ელექტროსაინჟინრო ფაკულტეტზე. ჩემი და – ნინო. მან თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ზოოსაინჟინრო ფაკულტეტი, შემდეგ კი ნიუ-იორკის უნივერსიტეტის (CUNY) მაგისტრატურა დაამთავრა ბიზნესის განხრით და ამჟამად იმავე უნივერსიტეტის საინფორმაციო განყოფილების მენეჯერია.

აი, ჩემი წინაპრები, ჩემი საგვარეულო დედისა და მამის მხრიდან... ჩემს ოჯახზეც გესაუბრეთ... ჩემზეც...

ჩემი, ერთი ქალის – შვილთაშვილის, შვილიშვილის, შვილის, დედის, ბების, პედაგოგისა და პოეტის სურვილია, მეც ჩემი შთამომავლების – შვილიშვილების, შვილთაშვილებისა და იმათი შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების ლირსეული წინაპარი ვიყო...

ვცხოვრობ, ვეწევი პედაგოგიურ და შემოქმედებით მოღვაწეობას. ვცხოვრობ ჩემი ქვეყნის, ჩემი ერის ცხოვრებით... ღმერთის, სამშობლოს, ადამიანების სიყვარულით... იმის ნატვრით ვიღამებ დღეს და ვითენებ დილას, რომ დადგება დრო, როცა საქართველოში დიდი სიხარულით დაბრუნდება ყველა ემიგრანტი... დაბრუნდებიან ჩემი და, ჩემი ქალიშვილი და სიძე, შვილიშვილები და თავიანთ ცოდნას, განათლებას, გამოცდილებას, ენერგიას ჩვენს ქვეყანას, ჩვენს სამშობლოს, უკეთეს მომავალს მოახმარებენ...

ჩემი ლექსების წიგნში – „ქალბატონო სფინქსო!“ – ჩემი გული და სულია ჩადებული. მას რუდუნებით გიძლვნით თქვენ, ჩემო მკითხველო!..

**მარინა იმნაიშვილი**

## ჩემი ცინაკები



№21, 25 ივნისი - 1 ივლისი 2009 წ.

19


**უფლისძიება  
დეკანოზი იაკინთე გორგაძე  
1870-1936**

დეკანოზი იაკინთე 1870 წელს ქუთაისის მაზრის სოფელ ბაბი, მდვერელი იოსებ შოთა ძე გორგაძისა და რუსული ბურჯანძის ოჯახში დაიბადა. მდვერელი იოსები სოფელ ბაბის შმინდა გორგაძის სახელობის ეკლესის წინამდებრების მსაურიობდა. ბურჯანძის, პატარა აკანთე აღრული ასაყიდვები დაუხსოვება და ექტენსიას და დეთასიმატურების მმართ იმუტერისა და მონიდომება გამოიჩინა. პატარა სამ პატერა დანყებოთი გამათლების მიღების შემდეგ, სანაელა ქადაგის სასახლეორი სასწავლებელში განაგრძო. 1886 წლს კი თბილისის სასახლეორი სტენაში ჩაასარა, რომელიც 1892 წელს პირველი ხარისხის დიპლომთ დაამატა. 1892 წლის 26 იანვარს, ჯვრთა-მაღლების სახელობის კარის ეკლესიაში, წირვის დროს, საქართველოს ეგზარქოსმა პალამდ (რავი) სტერიო შემოსა.

სემინარის დასარულების შემდგა და დაჭრი-ნნნდა მარიო მებაკის სულიშვილი, რომელთან და სამ შეიღინა: გრიგორი, ნინო და ნინა. 1892 წლის 21 ნოემბრს იმერეთის ქაისკოპატა გაბრიელმა (ქა-ქორ) და იაკინთე აკანთეს, ხოლო ამავე ნილო 20 ნოემბრის მცველდღი დაასას ხელ და ხევიჯვრის წინა-და გორგაძის სახელობის ეკლესის წინამდებად და-აგირის. 1893 წლის 16 იანვარს მარიოს მცხოვრის ამღლების სახელობის ეკლესიში გადაიცავეს.

მეუზე გაბრიელ განსაკუთრებულ ყურადღებას უზრუნველყოს სინკვლე-განათლების და ცოდნის დონის მძღვანელის სამცდელები პირს და დონ სიყრ-თხლით ანჩევდა და უშემცხად სტენაში კურ-დამორბულებული ანუ გამოიტანებოდა. როგორც განათლებული, აბალგაზრდა და ერთგული მოძღვა-რი, 1895 წლის შოთა გორგაძის მაზრის, იმრეთის საპარ-ქიო სამსახურის საბჭოს განყოფილების წევრად არჩინის, ხოლო მომდევნო წლიდან ამავე მაზრაში არსეულ სამრევლო-საცემო სალებოს მო-ვალყურები დაინიშნა. სადაც 1898 წლიდები მისაურა.

1898 წლიდან მათ აიგონთე სტენაშე განვლენი და ანის სამსახურის სამსახურის სასახლეორი სასახლელის სამსახურით სკოლის მასაზ-ადგენად ინსპენდა. 1899 წლის 15 ოქტომბერს კუკიის ტესამის სამსახურის სასახლელის ერთობლივ ენის მასანდღლებლის სამსახურის გორგაძინიდა და ანის სამსახურის კონსალტანი და ეკლესის მდგენლომას გე-ლესის მდგენლომას აზრული გელენის მოძღვაული განამტევეს. ამავე წლის 12 მაისს ბორჯო-მის წმინდა იოანე ნათლისმცემის სახელობის ეკ-ლესის წინამდებარებულ გადაიყენეს და გორგაძის მეათე ოქტომბერის მთავარხუცესად დაადგინეს. 1900



ა. მიხაილი  
M. კახობა  
Tbilisi Seminary

წლის 20 მაისს სკულიორ დაჯილილებებს, ხოლო 1904 წლის აღდგინის — კამილა ეკლესი.

ბორჯომში დაწინული მამა იაკინთე განაგრძობს აქტუალ მძღვანელობს სასახლო დარგმის გარიდა სალ-ორ სჯულის სწორებისა, იგი იმის მიზნება მარკომის სახელონი სასახლელობის საბრძოლებლის წევრად, სადაც უძველე ინსტაცია, 1909-1919 წლები იყო ქართველთა შორის წერა-კოსტების გამეტებულების საზოგადოების განვითარების წევრად გამოიტანებოდა. 1910 წლის 15 მაისს სამეცნიერო იქნის ჯვარი უძოქეს. 1915 წლის 6 მაისს შმინდა აზა სამსახურის მინისტრი და აჯილდოვება. 1916 წლის 6 აგვისტოს ბორჯომის წმინდა იოანე ნათლისმცემის სახელობის ტაძარში სასახლელის ეგზარქოსმა პლატონმ (როგორნ ტ-ერნე) ეკლესის მიზნებით სამსახურის მიმა იაკინთეს დეკანოზის წოდება მიანიჭა, ხოლო მამამის, მღვევლი იოსები, კამილა ეკლესი.


1919 წელს ბორჯომში გაისხნა უმაღლესი პირ-ეკლესი ანუ ეკლესი სასახლებელი, რომელშიც მამა





ნინა გორგაძე და დავით ჩიტაძე

### გერგლეანი



## ჩემი რჯახელ



მარცხნიდან მარჯვნივ: ანზორ ჩიჩილიძე, ნათია ესაკია, ლილე ჯამასპიშვილი, მარინა იმნაიშვილი ილია ჩიჩილიძე



ნინო იმნაიშვილი



ტარიელ ჩიჩილიძე და ნათია ესაკია



## საჩუქრი

წინათქმა .....	3
ჩემთვის რომ ეთქვათ... .....	9
ლექს! .....	12
მე რომ ლექსი მინდა!.. .....	13
მოლოდინი .....	14
ვინა ვარ? ყველა კაი ყმას .....	15
ჩემი ფიქრები .....	16
რომ მზე მყავდეს! .....	18
გამოლმა ნაპირი .....	19
მეგობრებს .....	20
ზღვარი .....	21
არადა, ცხოვრობ!	22
და სცივათ ლექსებს...	24
სიმართლე .....	25
მენატრება გურია .....	26
ვიცი, სიყვარული რომ არ კმარა...	27
სამშობლო .....	28
როცა გულიდან გადმოვიდვრები .....	29
ბროლის ქალაქი .....	30
პატარა დედამიწა .....	31
გამახელებდეს!.. .....	32
დღესასწაული .....	33
დრო .....	34
პოეტი .....	35
მზის და მთვარის სონატა .....	36
მოდი!	37
პოეტია!	37
„რისთვის მომდგარხარ, წუხილო?“ .....	38
უცხო სურნელი .....	39
როდესაც მიუყვები აღმართს...	40
უსიყვარულო გზა .....	41
უღელტეხილზე .....	42

მარტის ეტიუდი .....	43
გაბაასება შექსპირთან .....	44
შენ .....	45
ახლა მჭირდები! .....	46
მალე, უხილავო! .....	47
დამელოდეთ! .....	48
წვიმდა .....	49
ველად დაგიკრეფ ლურჯთვალა იას .....	50
გარდასული ოცნება... .....	51
შენით ხარობს .....	52
გარინდება .....	53
შემოდგომაა! .....	53
ამ ფიფქების სურნელს .....	54
დარდიანი პოეტი .....	55
რეჟისორი .....	55
ტყუილი – მართალი .....	56
ჯერ ყველაფერი არ არის გვიან! .....	56
ტვირთი .....	57
შენი წილი ბედნიერება .....	59
პასუხს არ ვითხოვ! .....	61
მეფისტოფელი .....	63
ზღაპარი ჩემი... .....	67
პანორამა ანმყოში .....	69
ქალბატონო სფინქსი! .....	74
ეს ლოცვა იყოს! .....	81
ოცნება .....	84
შვილს! და შვილის შვილებს! .....	87
დაგვიბრუნე! .....	89
ჩემს მკითხველებს! .....	91
ჩიმი წინაპრები .....	96
მშობლები .....	98
ჩიმი ოჯახი .....	99



დანანაობენ,  
თეართვაუფებენ  
თეიქნები შევიდი,  
მაგრამ სიმშევიდე  
გულისაგული არ დამიამა...  
რა ჰავარია დედამიწა

და  
რაოდენ დადი,  
რომ უკვდავება  
მოძიროს ადამიანება!

